

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

ლანა ხარატიშვილი

**თურქეთის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა
შავი ზღვის რეგიონულ უსაფრთხოებაში: გავლენა საქართველოს
საგარეო პოლიტიკაზე**

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი კორნელი კაკაჩია
პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

თბილისი

2025

სარჩევი

ანოტაცია.....	2
შესავალი.....	3
თავი1: მულტივექტორიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში: კონცეფცია და თეორიული საფუძვლები	6
1.1 მულტივექტორული პოლიტიკის მოდელები და მათი ტიპოლოგია	8
1.2 თურქეთის მულტივექტორული პოლიტიკის სტრატეგიული როლის ჩამოყალიბება შავი ზღვის რეგიონში.....	11
თავი 2: თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზის დონეები	13
2.1 თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი ეროვნულ დონეზე	16
2.2 თურქეთის საგარეო პოლიტიკის რეგიონული ანალიზი.....	21
2.3 თურქეთის საგარეო პოლიტიკის გლობალური ანალიზი	25
თავი 3: თურქეთის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის გავლენა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე	30
3.1 თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა: გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის.	34
3.2 საქართველოს საგარეო პოლიტიკის დილემა.....	39
დასკვნა.....	44
გამოყენებული ლიტერატურა	47
დანართი N1.....	53

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი იკვლევს რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ორ მნიშვნელოვან ფაქტორს. ერთის მხრივ, თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის გავლენას შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების სფეროზე. მეორე მხრივ, აფასებს მრავალვექტორული პოლიტიკის გავლენას საქართველოს საგარეო პოლიტიკის უსაფრთხოებაზე. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს თურქეთის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის გაანალიზების საფუძველზე, თურქეთის საგარეო პოლიტიკის განმაპირობებელი ასპექტების შესწავლა, მათ შორის, მრავალვექტორული პოლიტიკის გავლენის შეფასება საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე.

კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას, მათ შორის, დოკუმენტების ანალიზსა და სიღრმისეულ ინტერვიუს. თავდაცვითი ნეორეალიზმისა და „სტრატეგიული სიღრმე“ თეორიულ ჩარჩოსთან ინტეგრირებით ნაშრომი აფასებს თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკასთან დაკავშირებულ რისკებსა და შესაძლებლობებს შავი ზღვის რეგიონში. ამასთანავე, კვლევა ავლენს საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ შეუსაბამობებს, საფრთხეებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს სტრატეგიული პროგნოზირების ფორმირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მრავალვექტორული პოლიტიკა, სტრატეგიული სიღრმე.

შესავალი

შავი ზღვა სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონია, რომლის გეოპოლიტიკური როლი მუდმივად განიცდიდა ტრანსფორმაციას. საბჭოთა კავშირის პერიოდში შავი ზღვა „საბჭოთა ტბად“ აღიქმებოდა. ძალათა ბალანსის სისტემა მოსკოვის სასარგებლოდ მოქმედებდა. პოსტსაბჭოთა სივრცის ფორმირებამ შავი ზღვის რეგიონი დასავლეთის ინტერესის ობიექტად ე.წ. „ევროპულ ტბად“ აქცია. ტრანსფორმაციის მიუხედავად, რეგიონთან დაკავშირებული აღქმები და სტრატეგიები დიდ ძალებს რუსეთს, დასავლეთსა და თურქეთს შორის უცვლელი დარჩა. რუსეთი შავი ზღვის რეგიონს კვლავ გავლენის სფეროდ აღიქვამს და ცდილობს ჰეგემონიის აღდგენას. მოსკოვისგან განსხვავებით, დასავლეთის მხრიდან შავი ზღვის რეგიონი ხშირად ყურადღების მიღმა რჩებოდა. დღემდე არ არსებობს შემუშავებული ერთიანი უსაფრთხოების სტრატეგიული ჩარჩო რეგიონთან მიმართებით. ამასთანავე, თურქეთი მუდმივად ინარჩუნებს დიდ ძალებს შორის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკური მიდგომით წონასწორობას, მის საფუძველზე რეგიონული ლიდერის სტატუსის ფორმირებას.

შავი ზღვის რეგიონის **აქტუალობა**, რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა. შეიცვალა შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებული აღქმები, გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების პარადიგმები. ომმა კიდევ ერთხელ აჩვენა რუსეთის უცვლელი სწრაფვა ჰეგემონიისაკენ. გაიზარდა უსაფრთხოების აუცილებლობა, დაუცველობის შეგრძნება და რისკი მოსალოდნელი თავდასხმის, განსაკუთრებით ნატოს არაწევრ სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოში. ამის ფონზე, იზრდება თურქეთის, როგორც ნატოს ქმედითუნარიანი წევრის როლი, შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების ფორმირებაში. რუსეთთან ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით, პარტნიორობითა და ამავდროულად რუსეთის შეკავების კოლექტიურ მცდელობაში მონაწილეობით, ანკარა აღიარებულია, როგორც ძლიერი აქტორი რუსული გავლენის გაძლიერების წინააღმდეგ რეგიონში. თუმცა, თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა გარკვეულ გამოწვევებს ქმნის ისეთი სახელმწიფოებისთვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც არ გააჩნია უსაფრთხოების

მტკიცე გარანტიები. მაშინ, როდესაც საქართველო ეძებს უსაფრთხოების გარანტიებს რუსული გავლენისგან დასაცავად, ანკარა ცდილობს მრავალვექტორული პოლიტიკის გამოყენებით შეინარჩუნოს ბალანსი, მინიმალური დანაკარგებით გააძლიეროს სახელმწიფოს სტატუსი და ხელი შეუწყოს სტაბილურობის განმტკიცებას.

თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა ორაზროვან გავლენას ახდენს რეგიონზე. ერთი მხრივ, იგი ხელს უწყობს ძალთა ბალანსის შენარჩუნებას დიდ ძალებს შორის, მეორე მხრივ კი, მისი დიპლომატიური სიფრთხილისა და მოქნილი საგარეო პოლიტიკის გამო, საქართველოს მსგავსი ქვეყნების უსაფრთხოების პერსპექტივები არაერთგვაროვნად აღიქმება. ამდენად, შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურაში თურქეთის როლის ანალიზი მნიშვნელოვანი ხდება, როგორც საქართველოსთვის, ისე მთლიანად რეგიონისათვის. მნიშვნელოვანია, კრიტიკულად შეფასდეს, რამდენად შეუძლია თურქეთს რეგიონული უსაფრთხოების შენარჩუნება და საქართველოს სტაბილურობის ხელშეწყობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია**, თურქეთის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის გაანალიზების საფუძველზე, შეისწავლოს თურქეთის საგარეო პოლიტიკის განმაპირობებელი ასპექტების გავლენა შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების სფეროზე, მათ შორის საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე.

კვლევის მიზნის გათვალისწინებით, **კვლევის ამოცანებია**:

- მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის ასპექტების შესწავლა სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით.
- შევისწავლოთ თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის ანალიზი სამ: ეროვნული, რეგიონული და გლობალური დონეებზე დაყრდნობით;
- თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის გავლენის ანალიზი საქართველოს საგარეო უსაფრთხოებაზე. შევაფასოთ რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის;

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, **კვლევითი კითხვებია**:

1. რა ასპექტები განაპირობებს თურქეთის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის ფორმირებას და რამდენად წარმოშობს უპირატესობას თურქეთის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონულ უსაფრთხოებაში?

2. რამდენად თავსებადია თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების პროცესებთან და რამდენად წარმოშობს რისკებს საქართველოს საგარეო უსაფრთხოებისათვის?

საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, **კვლევის დაშვებაა:**

თურქეთის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა უზრუნველყოფს თურქეთის შიდა პოლიტიკურ სტაბილურობას, სტრატეგიული მნიშვნელობისა და გავლენის ზრდას რეგიონში, თუმცა ართულებს ურთიერთობას, ნდობასა და გეოპოლიტიკურ წონას მის სტრატეგიულ პარტნიორებთან.

რაც შეეხება **კვლევის ობიექტს**, კვლევა ყურადღებას ამახვილებს შავი ზღვის რეგიონში რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე არსებულ ორ მნიშვნელოვან ფაქტორზე: თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკასა და საქართველოს საგარეო უსაფრთხოებაზე. საბაკალავრო კვლევის ნაშრომი აანალიზებს და შეისწავლის სახელმწიფოთა შეთანხმებებს, სამშვიდობო პროექტებს, დოკუმენტებს, სამხედრო თანამშრომლობით პროგრამებს. თითოეული კვლევის ობიექტი იძლევა ინფორმაციას სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ.

კვლევისას გამოიკვეთა ძირითადი ცვლადი, რომელიც **კონცეპტუალიზდა** და **ოპერაციონალიზდა** შემდეგნაირად:

„მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა“, მოქნილი სტრატეგიული მიდგომაა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიათა შორის. ფართოდ თუ ვიმსჯელებთ, მრავალვექტორული პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს პოლიტიკას, ავითარებს პრაგმატულ საგარეო ურთიერთობებს, რომელიც ეყრდნობა თანამშრომლობასა და კოჰაბიტაციას. კვლევის ფარგლებში ცვლადი შეფასებულია სახელმწიფოს სამშვიდობო შეთანხმებებში, პროგრამებში მონაწილეობით. თანამშრომლობის ინიციატივებისა და დიპლომატიური მოქმედებების გათვალისწინებით.

მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევაში გამოყენებული იქნება თვისებრივი **კვლევის მეთოდი**, კერძოდ დოკუმენტების ანალიზი, სიღრმისეული ინტერვიუ დარგის ექსპერტებთან. კვლევაში, მნიშვნელოვანია, დარგში არსებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენება. შესაბამისად, მიზნობრივი

არაალბათური შერჩევის დახმარებით, ექსპერტები შეირჩა სამუშაო პროფილისა და კომპეტენციის გათვალისწინებით (დანართი N1).

კვლევისას გამოყენებული **თეორიული ჩარჩო** ეფუძნება თავდაცვითი ნეორეალიზმის თეორიას. კენეტ უოლცი წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სისტემის ანარქიული ბუნება ხელს უწყობს სახელმწიფოებს, შეინარჩუნონ უსაფრთხოება ზომიერი და თავშეკავებული პოლიტიკის მეშვეობით. ამასთანავე, თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის ასპექტები შეფასდა თურქი მეცნიერის აჰმეთ დავითოღლუს „სტრატეგიული სიღრმე“ თეორიის კონტექსტში. დავითოღლუ თეორიის ფარგლებში განიხილავს თურქეთის გეოპოლიტიკურ პოზიციას და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიებს. ამრიგად, თეორიული ჩარჩოს გამოყენებით შეფასდა თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის ბუნება, უსაფრთხოების სტრატეგიული მიდგომები და გავლენა რეგიონულ პროცესებზე.

თავი1: მულტივექტორიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში: კონცეფცია და თეორიული საფუძვლები

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში მულტივექტორული პოლიტიკის სპეციფიკის შესწავლა თეორიებს შორის იწვევს ფართო დებატებს. მულტივექტორული პოლიტიკა ძირითადად, ვითარდება ნეორეალიზმის თეორიიდან, რომელიც ხაზს უსვამს ძალაუფლების როლს საერთაშორისო ურთიერთობებში (Vanderhill , Tulepbayeva , & Joireman , 2020). საერთაშორისო სისტემა აღიქმება როგორც კონკურენტული, კონფლიქტური გარემო. ანარქიული ხასიათი ართულებს სახელმწიფოთა განზრახვის შეცნობას. შესაბამისად, აქტორები მიისწრაფვიან თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისაკენ. ანარქიულ გარემოში მშვიდობისა და წესრიგის დასამკვიდრებლად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება აქტორებს შორის ძალათა ბალანსის შენარჩუნება, რომელიც მიიღწევა სახელმწიფოთა თანამშრომლობით. (Baba, 2024) მრავალვექტორული პოლიტიკა განიხილება როგორც პასუხი ძალათა

ბალანსის კონცეფციაზე, რომლის დახმარებითაც სახელმწიფო ესწრაფვის საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობის შენარჩუნებას.

მულტივექტორული პოლიტიკა, როგორც სტრატეგია წარმოადგენს „სახელმწიფოს პოლიტიკას, რომელიც ავითარებს საგარეო ურთიერთობებს პრაგმატულ, არაიდეოლოგიურ საფუძვლებზე დაფუძნებული ჩარჩოს მეშვეობით“ (Vanderhill , Tulepbayeva , & Joireman , 2020). მულტივექტორული საგარეო პოლიტიკა ახორციელებს მეგობრულ, პროგნოზირებად ურთიერთობებს ყველა სახელმწიფოსთან. აღნიშნული მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო პროცესებში და წარმოადგენს სახელმწიფოს პრაქტიკულ ინტერესს. შესაბამისად, მულტივექტორიზმი ეს არის საგარეო პოლიტიკის ნიმუში, რომელიც ეყრდნობა „თანამშრომლობასა და კოჰაბიტაციას“ (Baba, 2024). ეს თანამშრომლობა აგებულია არა თანამოაზრეობით, არამედ პრაგმატიზმით, რომელიც მოტივირებულია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღქმული ინტერესებით საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. მულტივექტორიზმი თავისი პრაგმატული ბუნებით, ინტერესებზე ორიენტირებული, მრავალმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობით ჯდება სახელმწიფოს ქცევის როგორც რეალისტურ, ისე ლიბერალურ მოდელებში (Nicolescu, 2012). განსაკუთრებით მრავალმხრივი ბუნების გამო, მულტივექტორიზმი ეკონომიკურად და სტრატეგიულად მომგებიანია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა თურქეთი და ყაზახეთი, ვინაიდან ისინი მდებარეობენ აზიურ და ევროპულ ბაზრებს შორის (Baba, 2024). სტრატეგიულმა მდებარეობამ, ასევე შეიძლება გაზარდოს საშუალო ძალების ავტონომია დიდი ალიანსების მოთხოვნების მიმართ.

დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობები უფრო მრავალპოლარული და ურთიერთდამოკიდებულია. მულტივექტორიზმი ახლა უფრო აქტუალურია საშუალო და მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში. მულტივექტორიზმის პოლიტიკა შესაძლებლობას აძლევს საშუალო და მცირე სახელმწიფოებს შეინარჩუნონ პრაგმატული, თანაბარი მანძილი დიდ სახელმწიფოებთან, ზედმეტი დიპლომატიური ენერგიის დახარჯვის გარეშე. (Nicolescu, 2012) მულტივექტორიზმის საშუალებით სახელმწიფოს შეუძლია გადაერთოს ერთი აქტორიდან მეორეზე. მიუხედავად იმისა,

რომ აქტორებს შორის ძალაუფლება ბუნებრივად ასიმეტრიულია. ამ გადართვით სახელმწიფოს შეუძლია „შეამსუბუქოს დამოკიდებულების დილემები“ (Baba, 2024).

1.1 მულტივექტორული პოლიტიკის მოდელები და მათი ტიპოლოგია

საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში მრავალვექტორული პოლიტიკა პოსტსაბჭოთა პერიოდში ჩნდება. ცივი ომის დასრულებამ, პოსტსაბჭოთა სივრცის ჩამოყალიბებამ დაშალა ბიპოლარული სისტემა. სახელმწიფოებს მისცა მეტი მანევრირების საშუალება საერთაშორისო სივრცეში (მანჩხაშვილი, 2013). მრავალპოლუსიან სისტემაში სახელმწიფოები მიისწრაფვიან აწარმოონ მრავალვექტორული პოლიტიკა აქტორებს შორის. ეს მიდგომა განსხვავდება იმ მიდგომისაგან, როდესაც სახელმწიფო ავითარებს მჭიდრო ურთიერთობებს ერთ ქვეყანასთან და უგულებელყოფს სხვა სახელმწიფოებს (Baba, 2024). შესაბამისად, მულტივექტორული პოლიტიკა არის სტრატეგიული საგარეო პოლიტიკის მიდგომა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ურთიერთობების დივერსიფიკაციას სხვადასხვა რეგიონულ და გლობალურ ძალებთან (Vanderhill , Tulepbayeva , & Joireman , 2020). მისი მიზანია ერთ კონკრეტულ ქვეყანაზე ან ძალაზე დამოკიდებულების შემცირება და მრავალფეროვანი პარტნიორობის ჩამოყალიბება, რათა მოხერხდეს: ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება, ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდა, გარე გავლენის დაბალანსება.

მულტივექტორული პოლიტიკის წარმოება მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. ერთის მხრივ, წარმატებული მრავალვექტორული პოლიტიკა დამოკიდებულია ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე, პოზიციაზე, შიდა სტაბილურობასა და დიპლომატიაზე (Avdaliani, 2021). მეორეს მხრივ, დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძლიერი აქტორები ერთმანეთთან კონკურენტულ დამოკიდებულებაში არიან. დიდ, საშუალო და მცირე სახელმწიფოებს შორის მულტივექტორული პოლიტიკის მეთოდები ერთმანეთისგან განსხვავდება (Tikuisis & Carment, 2017).

დიდი სახელმწიფოების მიზანია უზრუნველყონ მსოფლიოში ძალების ბალანსი. ამასთანავე, სხვადასხვა რეგიონში გავლენის გაძლიერება, ინტერესების დაცვა და

მრავალმხრივი ალიანსების შექმნა კონკურენტების დასუსტების მთავარი მექანიზმია. (Tikuisis & Carment, 2017). დიდ სახელმწიფოებს აქვთ მძლავრი რესურსები (ეკონომიკური, სამხედრო, დიპლომატიური), რომელიც ხელს უწყობს ფართო გეოპოლიტიკურ მანევრირებას. მულტივექტორული პოლიტიკა ხშირად ასახავს ჰეგემონური პოზიციის განმტკიცებას. თუმცა, ხშირად რთულია ინტერესთა ბალანსი, რადგან დიდი სახელმწიფოების მოქმედებები აღიქმება როგორც ჰეგემონური ექსპანსია. ამავე დროს მათთვის მნიშვნელოვანი რეგიონის დაკარგვა, შესაძლოა, გლობალურ გავლენაზე უარყოფითად აისახოს. პატარა სახელმწიფოები მცირე რესურსებით, სუსტი ეკონომიკით იბრძვიან დიდი აქტორების ფონზე გადარჩენისათვის. მულტივექტორული პოლიტიკა პატარა სახელმწიფოებში აღიქმება როგორც რეალობიდან გამომდინარე გარდაუვალი პოლიტიკური სტრატეგია, რომელიც ხშირად უკავშირდება გადარჩენის საჭიროებასა და ეროვნული იდენტობის დაცვას. კონკურენტულ საერთაშორისო სისტემაში პატარა სახელმწიფოების მანევრირება შეზღუდულია ძლიერი სახელმწიფოების ზეწოლით (Baba, 2024).

საშუალო სახელმწიფოთა მიზანია გეოპოლიტიკური მდგომარეობის გაძლიერება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. მათ აქვთ საჭირო რესურსები, რომელთა დახმარებითაც შეუძლიათ, სხვადასხვა ბლოკებთან თანამშრომლობით საკუთარი უსაფრთხოებისა და ეკონომიკის გაძლიერება. საშუალო რესურსების მქონე სახელმწიფოების მიერ წარმოებული პოლიტიკის მიზანია თავიდან აიცილონ ერთ სახელმწიფოზე დაქვემდებარება და მიბმა (Tikuisis & Carment, 2017).

საშუალო და მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით, მრავალვექტორული პოლიტიკა სამი ძირითადი დონის ურთიერთქმედებით ყალიბდება (Baba, 2024). მულტილატერალიზმი წარმოადგენს მულტივექტორული პოლიტიკის ერთ-ერთ დონეს, რომელიც ესწრაფვის თანამშრომლობისაკენ. სახელმწიფოები მულტილატერალიზმის მეშვეობით კოორდინაციას უწევენ საკუთარ ქმედებებს შეთანხმებულ წესებსა და პრინციპებზე დაყრდნობით, რაც საბოლოოდ იწვევს წევრთა შორის ავტონომიის შემცირებას (Efremova, 2019). ავტონომიის ნაკლებობა, ასევე ხაზს უსვამს მულტილატერალიზმის შემზღუდველ ხასიათს,

განსაკუთრებით საშუალო და მცირე სახელმწიფოებისთვის, რადგან აქტორების ქმედებები, შეთანხმებულია ყველა წევრის მიერ.

ურთიერთქმედების უფრო მოქნილი და ნაკლებად ინსტიტუციური ნიმუშია მინილატერალიზმი. ეს მიდგომა მიზნად ისახავს უფრო პრაქტიკული, მოკლევადიანი შედეგების მიღებას, პრობლემის მოგვარებას სახელმწიფოთა მცირე რაოდენობის გათვალისწინებით. მინილატერალიზმი მულტილატერალიზმის მსგავსად ეფუძნება თანამშრომლობას. შესაბამისად, მინილატერალურ სქემებში მხარეები სულაც არ ინარჩუნებენ შეთანხმებას, ან თანამშრომლობას. მინილატერალიზმი ძირითადად უპირატესობას ანიჭებს საშუალო და მცირე ძალებს. ის უფრო მდგრადია „ძალაუფლების ასიმეტრიების მიმართ“ (Baba, 2024). მაშასადამე, მინილატერალიზმს ეფექტურობა უფრო ახასიათებს, ვიდრე თანასწორობა.

მესამე დონეს ბილატერალიზმი წარმოადგენს. ეს მიდგომა ეფუძნება ორმხრივ ურთიერთობებს. ამ მეთოდს მიმართავენ როგორც ეკონომიკაში, ასევე უსაფრთხოების სექტორში. ბილატერალიზმში ორი სახელმწიფო აქტორი „ერთმანეთს ანიჭებს განსაკუთრებულ პრივილეგიებს, რომლითაც არ სარგებლობენ სხვა ქვეყნები“. ორმხრივი ურთიერთქმედების დროს, ამ აქტორებს უვითარდებათ ნორმატიული რწმენა, რომ მათი საკითხები უნდა განიხილებოდეს ერთი-ერთზე კავშირებით, კერძო სექტორის ან მრავალმხრივი სქემების ჩართვის გარეშე. ურთიერთობები ფორმირდება მხოლოდ ორი მხარის მოლოდინების, საჭიროებებისა და მოთხოვნების მიხედვით. ორმხრივი სქემები „შეიძლება იყოს ასიმეტრიული ძალათა არასრულყოფილი ბალანსის გამო, ან აქტორთა ბუნების განსხვავების გამო“ (Baba, 2024). სახელმწიფო გაერთიანებულია ორმხრივი კუთხით, სანამ ურთიერთობა აკმაყოფილებს მათ მოლოდინებს. ბილატერალიზმი მხარეებს ნაკლებად დაუცველს ხდის მულტილატერალიზმთან შედარებით, რადგან ეს უკანასკნელი ადვილად შეიძლება დასუსტდეს შიდაორგანიზაციული განხეთქილების ან უთანხმოების გამო.

ვინაიდან თურქეთის მულტივექტორიზმი მოითხოვს მოქნილობას დასავლეთსა და რუსეთს შორის. „მრავალ ვექტორებთან“ მუშაობისთვის, მინილატერალური და ორმხრივი სქემები შეიძლება იყოს უფრო პროდუქტიული. თურქეთის მრავალვექტორული თანამშრომლობა რეგიონის თითქმის ყველა დიდ, საშუალო და

პატარა ძალასთან აძლიერებს სახელმწიფოს პოზიციებს, როგორც საიმედო პარტნიორი, ჰუმანიტარული, დიპლომატიური აქტორი თავდაცვისა და თანამშრომლობის სფეროში.

1.2 თურქეთის მულტივექტორული პოლიტიკის სტრატეგიული როლის ჩამოყალიბება შავი ზღვის რეგიონში

შავი ზღვის რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა თურქეთის სტრატეგიული მიდგომის ნაწილია. ანკარა დიდი ხანია აყალიბებს შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურას (Aras, 2009). რუსეთის მზარდი აგრესიული პოლიტიკის ფონზე თურქეთის საგარეო პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში მუდმივად განიცდიდა ევოლუციას. ტრანსფორმაცია ბუნებრივად აღიქმება ისტორიული პროცესების პარალელურად (Malerius, Meister, & Kakachia, 2024).

თურქეთის სახელმწიფო, საერთაშორისო სისტემის იმ ისტორიული მემკვიდრეობის ერთ-ერთი შემქმნელია, რომელიც ჩამოყალიბდა დომინანტურ ცივილიზაციებთან დაპირისპირების საფუძველზე (მანჩხაშვილი, 2013). განსხვავებულ ცივილიზაციებს შორის არსებობამ თურქეთს სტრატეგიული აზროვნება განუვითარა. თურქეთის საგარეო პოლიტიკა ათათურქის პერიოდიდან მოყოლებული ორიენტირებული იყო მშვიდობაზე, თავს არიდებდა დიდ იმპერიებთან კონფლიქტს, მიზნად ისახავდა რეალისტური პოლიტიკის გატარებას. თურქეთის საგარეო პოლიტიკის განვითარების პირველი ეტაპი ეფუძნებოდა ეროვნულ საზღვრებში დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებას (მჭედლიშვილი, 2021). ათათურქის მმართველობის პერიოდში, ანკარა არ უგულებელყოფდა ძალისმიერი გზით ეროვნული საზღვრების დაცვასა და ფორმირებას. განისაზღვრა თურქეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური პრინციპი - „მშვიდობა სახლში, მშვიდობა მსოფლიოში“ (მანჩხაშვილი, 2014). ცივი ომის პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკა პასიური ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, თურქეთი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დასავლური ძალის მოკავშირედ განიხილებოდა, რუსული იმპერიალიზმის შესაკავებლად. საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები მიზანმიმართული იყო თავდაცვისაკენ (KIRIŞÇI, 2016). ანკარა მიისწრაფოდა

ნატოს სტრატეგიული პარტნიორობისაკენ. ცივი ომის პერიოდში თურქეთი საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩნდა საბერძნეთთან კრიზისის კონტექსტში. თურქეთის გეოპოლიტიკური ინტერესი ამ პერიოდში სცილდება შავი ზღვის რეგიონს. აქცენტი კეთდება ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკურ პროცესებზე (მჭედლიშვილი, 2021). ცივი ომის დასრულების შემდეგ ანკარა ყურადღების ობიექტი გახდა შავი ზღვის რეგიონში. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ქცევა თავდაჯერებული ხასიათისაა, რომელიც გავლენას ახდენდა საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების მიმდინარეობაზე. აღსანიშნავია, რომ ცივი ომის ბოლოს ხანმოკლე პერიოდში თურქეთის სტრატეგიული მნიშვნელობა შემცირდა. მიუხედავად ამისა, მალევე შეიქმნა დასავლურ სახელმწიფოთა კონსენსუსი თურქეთის გაზრდილი სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ შავი ზღვის რეგიონში. დასავლური სახელმწიფოების დამოკიდებულება მეტყველებს თურქული დიპლომატიის განვითარებაზე. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, თურქეთისთვის ეგზისტენციალური საფრთხე მოიხსნა. ანკარა აქტიურად შეუდგა თავისუფალი საგარეო პოლიტიკის გატარებას. მათ შორის, იმ თვალსაზრისით, რომ ბევრი ქვეყნისთვის "თურქეთი იქცა მოდელად და მიზიდულობის ცენტრად"¹. ანკარამ შეძლო სხვადასხვა მიმართულებით ურთიერთობის განვითარება შავი ზღვის რეგიონში. თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა არ შეხებია მხოლოდ დასავლეთსა და საბჭოთა სივრცეს. დასავლეთთან პარტნიორობის ფონზე თურქეთი აყალიბებს სტრატეგიულ კავშირებს რუსეთთან (მანჩხაშვილი, 2013). ამ პერიოდში ვითარდება თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მრავალვექტორული მიდგომა. ანკარა მიისწრაფვის დააბალანსოს ორი მნიშვნელოვანი აქტორი რუსეთისა და დასავლეთის სახით, რომელთა ფონზე ცდილობს ეროვნული ინტერესების განმტკიცებას.

პოსტსაბჭოთა პერიოდის საგარეო პოლიტიკის ექსპერტი, დავითოდლუ მრავალვექტორულ პოლიტიკას „სტრატეგიული სიღრმის“ მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნევს, რომელიც ხასიათდება ნეოსმანიზმის მიდგომით (Aras, 2009). ნეოსმანიზმის პოლიტიკის თანახმად, საგარეო პოლიტიკური ინტერესები ჩნდება ყოფილი ოსმალეთის ტერიტორიებზე. სახელმწიფოს აღქმა რეგიონის პრიორიტეტებს შორის

¹ გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

იცვლება მას შემდეგ, რაც შავი ზღვის რეგიონში იზრდება რუსეთის ექსპანსიონისტური მისწრაფებები. თურქეთისთვის მნიშვნელოვანი საგარეო პრიორიტეტია დაიცვას მის გარშემო არსებული რეგიონები (მჭედლიშვილის, 2021). მრავალვექტორული პოლიტიკა ჩამოყალიბდა, როგორც სტრატეგიული მექანიზმი თურქეთის საგარეო პოლიტიკაში. მოიცვა ყველა სფერო გავლენის სივრცის შესაქმნელად. კერძოდ, ეკონომიკური ჩართულობა და გაზრდილი დიპლომატია თურქეთს დაეხმარა ქცეულიყო შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორად (მანჩხაშვილი, 2013). ექსპერტთა შეფასებით “თურქეთის დიპლომატიური და პოლიტიკური ხელმძღვანელობა სწორად იქცევა, როდესაც მულტივექტორულ დიპლომატიას ავითარებს”.² მრავალვექტორული პოლიტიკა ეხმარება თურქეთს პოზიციების გაძლიერებაში, ამავე დროს, ეფექტურად მუშაობს ყველა დონეზე.

თავი 2: თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზის დონეები

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის შედეგი მრავალვექტორული პოლიტიკის განვითარებაა. საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს საგარეო პრიორიტეტებზე. საგარეო პოლიტიკის ღრმა ანალიზი ცვლილებას ორ ეტაპად განხილავს: ცივი ომისა და მის შემდგომი პერიოდის შესწავლა (მანჩხაშვილი, 2014).

ცივი ომის მიმდინარეობისას თურქეთის საგარეო პოლიტიკა ქემალისტური იდეოლოგიის ჩარჩოში მოქმედებს (მანჩხაშვილი, 2014). ამ პერიოდის სტრატეგიული არჩევანი დიდ ძალასთან თანამშრომლობით ახლო საფრთხის დაბალანსებაა. ანკარა მიისწრაფოდა საზღვრის გასწვრივ უსაფრთხოების აუცილებლობისაკენ. თურქეთი გამოსავალს დასავლურ ცივილიზაციასთან კავშირში ხედავდა. 1952 წელს სახელმწიფოს გაწევრიანება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში, წარმოადგენდა სტრატეგიულ არჩევანს საბჭოთა საფრთხის გასაწეიტრალეზად. ამ პერიოდის საგარეო პოლიტიკა აქცენტს აკეთებდა ნეიტრალიტეტსა და ბალანსირებულ პოლიტიკაზე.

² გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

თუმცა, ანკარას საზღვრის გასწვრივ უსაფრთხოების სტრატეგია გავლენის სფეროს დაკარგვის ფასად დაუჯდა (მჭედლიშვილი, 2021). თურქეთი, როგორც რეგიონული სახელმწიფო ატარებდა პოლიტიკას, რომელიც თანხმობაში მოდიოდა სუპერძალის მქონე სახელმწიფოების პოლიტიკასთან. მისი საგარეო მოქმედება გრძელვადიანი დამოუკიდებელი სტრატეგიების ნაცვლად, ემყარებოდა დიდი სახელმწიფოების სტრატეგიულ ჩარჩოებში ხანმოკლე ტაქტიკური გეგმების განხორციელებას. ამგვარი მიდგომა უარყოფდა წარსულ ისტორიულ გამოცდილებასა და სახელმწიფოს იდენტობას. ერთი მიმართულებით მიმდინარე შიდა პოლიტიკური კულტურა და საგარეო პოლიტიკა ზღუდავდა თურქეთის ფართო დიპლომატიურ მოქმედებებში ჩართვის შესაძლებლობას (მანჩხაშვილი, 2014). ამგვარი მიდგომა სახელმწიფოს არ აძლევდა შესაძლებლობას დროულად განესაზღვრა საერთაშორისო სისტემაში მომხდარი და მიმდინარე მოვლენები. დასავლეთთან დაახლოებამ გამოიწვია საგარეო პოლიტიკის ეროვნულ დონეზე გაუცხოება (Tokdoğan, 2018). ამ მდგომარეობას კრიზისი არ გამოუწვევია ცივი ომის პერიოდში. თუმცა, არსებული ვითარება თურქეთს მუდმივად უშლიდა ხელს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში.

კრიზისის არსებობის შეცნობა ორპოლუსიანი სისტემის რღვევის შედეგად ხდება. ცივი ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო სისტემის ცვლამ თურქეთში გამოიწვია ახალი სტრატეგიული ჩარჩოს ფორმირება (მჭედლიშვილის, 2021). ორპოლუსიანი სისტემის რღვევით, სოციალისტური სისტემის ნგრევის ფონზე თურქეთი მიხვდა, რომ მის გარშემო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური შესაძლებლობები ჩნდებოდა. ანკარას გაუჩნდა სურვილი ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში სახელმწიფოს მნიშვნელობა გაეზარდა. ამ მოვლენამ განაპირობა ქემალისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული საგარეო ორიენტაციის გადაფასება ნეოოტომანური იდეოლოგიის შესაბამისად (მანჩხაშვილი, 2014). ნეოოტომანური იდეოლოგია აკრიტიკებდა ადრეულ მიდგომას „მშვიდობა სახლში, მშვიდობა მსოფლიოში“ (მანჩხაშვილი, 2014). კრიტიკის ფონზე აქცენტი კეთდებოდა წარსული ისტორიის ხსოვნაზე. ამ პერიოდში მოხდა ისტორიული მემკვიდრეობისა და პოლიტიკური კულტურის მნიშვნელობის გადააზრება საგარეო პოლიტიკის ფორმირების კონტექსტში. თურქეთმა გააცნობიერა საკუთარი ძალა და საერთაშორისო პოტენციალი ისტორიული ცნობიერების ასაღორძინებლად.

ნეოტომანური იდეოლოგიის თანახმად, თურქეთის საგარეო პოლიტიკა ცივი ომის ბოლო პერიოდში ვერ პასუხობდა საზოგადოების მოთხოვნებს, საგარეო პოლიტიკურ გამოწვევებსა და წარსულ ისტორიულ გამოცდილებას (Tokdoğan, 2018). იდეოლოგია აყალიბებდა შიდა და საგარეო პროცესებს შორის ჰარმონიულ პოლიტიკას. ამ პერიოდის შიდა პოლიტიკა ემყარება ნაციონალიზმის ტალღის გაძლიერებას და მის პარალელურად საგარეო პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც მოიცავს დასავლურ ცივილიზაციასთან ბალანსის დაცვას. შესაბამისად, ნეოტომანურ იდეოლოგიას უნდა შეექმნა ახალი პოლიტიკური ადამიანი, მძლავრი იდენტობის გრძნობით, ამავე დროს საგარეო პოლიტიკის ჩარჩო უნდა მოერგოთ საერთაშორისო პოლიტიკის გამოწვევებთან. განვითარების ეს ეტაპი ჰგავს ისტორიული „თანზიმათის“ პროცესს, როდესაც ხდება ეროვნული ფაქტორის აღორძინება და მისი შესაფერისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვა (Çolak, 2024). აღსანიშნავია, რომ ნეოტომანური იდეოლოგია არ გულისხმობდა მკაფიო თვითმყოფადობის შექმნას და დასავლურ ცივილიზაციისგან განდგომას. პირიქით, მისი შენარჩუნების პარალელურად უნდა მომხდარიყო ეროვნული ტალღის გაძლიერება და საგარეო პოლიტიკის ჩარჩოს ფორმირებაში წარსული გამოცდილების გამოყენება (მანჩხაშვილი, 2014).

სოციალისტური სამყაროს ნგრევის შემდგომ თურქეთმა ტრანსფორმაცია სამ: ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე განიცადა. სტრატეგიული ჩარჩოს ფორმირებით თურქეთმა ხელახლა მოახდინა სახელმწიფოს მნიშვნელობის გადააზრება. პასიური პოლიტიკა აქტიური პოლიტიკით შეცვალა. ანკარამ გააცნობიერა საკუთარი თავი ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში, შექმნა თავისი თვითმყოფადობა, პოლიტიკური კულტურა, საგარეო პოლიტიკა, გაუჩნდა სურვილი გაეზარდა გავლენის ზონა, „უკანა ეზო“ (მანჩხაშვილი, 2013). ცივი ომის პერიოდში, თურქეთი საკუთარ თავს განიხილავდა დასავლური ცივილიზაციის ნაწილად. შესაბამისად, სახელმწიფომ ვერ შეძლო საკუთარი ძალების მოსინჯვა გავლენის ზონის ფორმირებაში. მოგვიანებით, „უკანა ეზოს“ ფორმირება იქცა სტრატეგიულ ორიენტაციად რეგიონულ სივრცეში. ეს არ ნიშნავდა, რომ გავლენის ზონის მიღმა არსებულ სივრცეს ანკარა მოწინააღმდეგედ აღიქვამდა და უარს ამბობდა მასთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე. თურქეთის აღქმის ცვლილება, ცხადყოფს, რომ მრავალვექტორული პოლიტიკის განვითარება ამ ეტაპზე

უნდა დაწყებულიყო. ანკარა ესწრაფოდა თანაბარი ურთიერთობების დამყარებას არეალს მიღმა ნებისმიერ აქტორთან. თურქეთის ამგვარი მიდგომა ბუნებრივია, ვინაიდან, ერთის მხრივ, იცავს ეროვნულ ინტერესებს. მეორე მხრივ, გეოგრაფიული მდებარეობა არ აძლევს შესაძლებლობას შექმნას ჩაკეტილი თვითმყოფადი სამყარო (Tokdoğan, 2018). მრავალვექტორული პოლიტიკის გამოყენებით თურქეთი ფიქრობს, რომ შექმნას ცივილიზაციის ცენტრი, ეროვნული ეთნიკურობა და გაზარდოს სახელმწიფოს ავტორიტეტი. ისტორიული მემკვიდრეობა, პოლიტიკური კულტურა და გამოცდილება აძლევს ბერკეტს დაძლიოს ადგილობრივი პრობლემები და მოიპოვოს გლობალური და რეგიონული გავლენა. საგარეო პოლიტიკის ღრმა ანალიზი ცივი ომისა და მის შემდგომი პერიოდის შესწავლით, ცხადყოფს, რომ მრავალვექტორული პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ეროვნული, რეგიონული და გლობალური დონეები. თითოეულის უგულებელყოფა წარმოშობს კრიზისებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის წარმოება მოითხოვს მკაფიო საგარეო სტრატეგიის ჩამოყალიბებას. კერძოდ, საჭიროა განისაზღვროს გრძელვადიანი ინტერესი, სტრატეგიული ორიენტაცია, მოკავშირეები და მოწინააღმდეგეები.

2.1 თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი ეროვნულ დონეზე

ეროვნულ დონის ანალიზი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს თურქეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზის პროცესში. წარსული გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ საზოგადოებიდან წამოსული იმპულსები გავლენას ახდენს საგარეო ორიენტაციის ფორმირებაზე (Ataman, 2023). თურქეთის საგარეო პოლიტიკის შეფასება შესაძლებელია სამხედრო ბუნების კვლევით. ისტორიულად სამხედრო არმია ყოველთვის იყო პოლიტიკური პროცესებში ჩართული, შესაძლოა ითქვას მთავარი შემოქმედიც. თურქული არმია დღემდე უწყვეტ გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე (მანჩხაშვილი, 2014). ამას ცხადყოფს, ის ფაქტიც, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა სამოქალაქო პირთა რაოდენობის ტოლია. ჯარი წარმოადგენს

ეროვნული დონის მნიშვნელოვან სუბიექტს, რომლის მსოფლმხედველობა უცვლელია. ისტორიულად არმია ყოველთვის სამოქალაქო საზოგადოებაზე მაღლა იდგა და ხშირად მისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. მათი შეხედულებები ყოველთვის აღქმული იყო როგორც საზოგადოების ინტერესები. ეს მიდგომა ისტორიულად არის გამყარებული, ვინაიდან, არმია ყოველთვის იცავდა მოსახლეობას და იღებდა გადაწყვეტილებას ნებისმიერ პოლიტიკურ პროცესში (Tokdoğan, 2018). სამხედრო ინსტიტუტი კონსერვატიული იდეოლოგიის მატარებელია. მუდმივად უარყოფითად არის განწყობილი ცვლილებებისადმი. პერიოდულად, სახელმწიფოში იცვლებოდა ისტორიული შეხედულებები, თუმცა გაწყვეტილი ხაზის აღდგენას მუდმივად ახერხებდა თურქეთის არმია. ისტორიული უწყვეტობის აღდგენა არმიისთვის გაიგივებული იყო ადგილის დამკვიდრებასთან გარკვეულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში. მიუხედავად კონსერვატიული ბუნებისა, არმია მხარს უჭერდა სოციალური და პოლიტიკური სივრცის განვითარებას, მეტ ლიბერალიზმ ყველა სექტორში (Ataman, 2023).

რესპუბლიკის პერიოდში შეინიშნება ისტორიული წყვეტა, რაც გამოხატული იყო არმიის როლის კლებასა და მის ხარჯზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაში. თურქეთის საგარეო პოლიტიკა აქცენტს აკეთებდა დასავლეთზე. 1940 -50 - იან წლებში თურქეთი მნიშვნელოვან სტრატეგიულ მოკავშირედ აღიქვამს აშშ-ს (“მარშალის გეგმა”, “ტრუმენის დოქტრინა”). ანკარა შიდა პრობლემების მოგვარებას ცდილობდა აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებით. ურთიერთობათა დაახლოებას ორ სახელმწიფოს შორის საერთო ინტერესები იწვევდა. მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება 1952 წელს თურქეთის ნატოში გაწევრიანება, რამაც ხელი შეუწყო მანამდე მივიწყებული სამხედრო გავლენის გაზრდას პოლიტიკურ პროცესებში (მანჩხაშვილი, 2014).

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვან ცვლილებებს ეკონომიკური კრიზისები იწვევდა, რაც ხშირად ახდენდა გავლენას საგარეო მიმართულებაზეც. 1950-იან წლების შუა ხანებში თურქეთში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, რაც ცვლილებების მომასწავებელი იყო პოლიტიკურ სივრცეში. ხელისუფლებაში მყოფი დემოკრატიული ძალები ვერ ასრულებდნენ საზოგადოებისთვის მიცემული დანაპირების შესრულებას. სოციალური პრობლემების დაუძლეველობამ

დემოკრატიული ძალების მარცხი გამოიწვია. ამ პერიოდში თურქული არმია ჩამორჩებოდა ნატოს ჯარს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გაიზარდა არმის დაფინანსება და ინტეგრაციის ხარისხი ევროპასთან, განსაკუთრებით, სამხედრო სექტორში.

50 - იან წლების მიწურულს კვლავ ეკონომიკურმა კრიზისმა იჩინა თავი. მთავრობის უუნარობა სოციალური პრობლემების მოუგვარებლობისადმი ზრდიდა მოსახლეობის უკმაყოფილებას. ამ პერიოდში გაიზარდა უმუშევრობა, ინფლაცია. ეკონომიკური კრიზისი პოლიტიკურ კრიზისად გარდაიქმნა, რაც 1960 წელს სამხედრო გადატრიალებით დაგვირგვინდა. ძალაუფლებას გარკვეული პერიოდი ინარჩუნებდა სამხედრო ინსტიტუტი, რომელიც მოგვიანებით სამოქალაქო სექტორს გადაეცა. გენერალთა ჩართულობის ზრდამ პოლიტიკურ პროცესებში გამოიწვია თურქეთის შეიარაღებული არმიის ურთიერთდახმარების ფონდის OYAK შექმნა (მანჩხაშვილი, 2014). ეს ფონდი აქცენტს აკეთებდა საზოგადოებაში სტაბილურობასა და მშვიდობაზე. ნებისმიერი მთავრობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა ამ პირობებს იქნებოდა დამხობილი. 60 -იან წლებში სამხედრო მმართველობის დროს გაძლიერდა აღქმა დემოკრატიის სისუსტის. გაჩნდა სურვილი ხსნა რელიგიური საწყისებისაკენ მიბრუნებაში ეძებათ (Tokdoğan, 2018). მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, დასავლეთზე წარმოდგენა, მისი საჭიროების აუცილებლობა სამხედრო რეჟიმის პერიოდშიც შენარჩუნებულია. ეს გამოიხატა ევროკავშირში გაწევრიანების სურვილით. ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლება მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს ლიბერალურ იდეოლოგიას, ესწრაფვის დემოკრატიული გარდაქმნებისაკენ.

70-იან წლებში ეროვნულ დონეზე ცვლილების მიზეზი კვლავ ეკონომიკური კრიზისია. არასტაბილურობა თურქეთში გლობალური კრიზისის ფონით იყო გამოწვეული. კერძოდ, ნავთობზე გაიზარდა ფასები, 1974 წელს კვიპროსში შეიჭრა თურქეთი, გაფუჭდა ურთიერთობები საბერძნეთთან, რამაც ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები შეაჩერა. ამერიკამ ემზარგო დააწესა იარაღზე, სახელმწიფოს დაუგროვდა საგარეო ვალი, რომლის გადახდასაც ვერ ახერხებდა. გაიზარდა ინფლაცია, დეფიციტი, უმუშევრობა, ტერორიზმი, რამაც თურქეთი სამხედრო გადატრიალებამდე მიიყვანა. სამხედრო სისტემამ საგანგებო წესები შემოიღო. არმიამ მოგვიანებით კვლავ

სამოქალაქო სივრცეს გადასცა ძალაუფლება. აღნიშნული ცხადყოფს, რომ არმია ყოველთვის სამოქალაქო საზოგადოების როლს ითავსებდა, დროულად ერეოდა პროცესში, როდესაც მთავრობა სტაბილურობასა და მშვიდობას ვერ უზრუნველყოფდა (Tokdoğan, 2018). ამასთანავე, კონსტიტუციით გამყარებულია არმიის როგორც სამოქალაქო საზოგადოების ნაწილის როლი. კერძოდ, “სამხედრო ინსტიტუტს აქვს კონსტიტუციით განმტკიცებული უფლება ჩაერიოს პოლიტიკურ პროცესებში თუ რელიგია არღვევს თავის საზღვრებს და იჭრება პოლიტიკაში” (მანჩხაშვილი, 2014). მიზანი ამ მიდგომის რესპუბლიკური წყობის შენარჩუნებაა თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ სისტემაში.

1980 - იან წლებში კვლავ განვითარდა ეკონომიკური კრიზისი. ჩამოყალიბდა სამხედრო მთავრობა. საზოგადოება ემხრობოდა სამხედრო ინსტიტუტს, რომელიც ჩარევით უზრუნველყოფდა სტაბილურობის აღდგენას (მჭედლიშვილი, 2021). აღნიშნული კიდეც ერთხელ ზრდის არმიის მნიშვნელობას ეროვნულ დონეზე. ამ პერიოდში შეიცვალა კონსტიტუცია, ხელისუფლება მეტად ავტორიტარული ბუნების გახდა, რაც დასავლეთს კრიტიკის ობიექტს მიღმა არ დარჩენია. ფაქტობრივად, სისტემა პოლიტიკის გარეშე არსებობდა. სამხედრო მმართველობის პერიოდში გაფუჭდა ურთიერთობები ევროკავშირთან. 1983 წელს მარცხდება სამხედრო ხუნტა. ხელისუფლებაში მოდის თურგუთ ოზალი, ეკონომიკური კრიზისების დაძლევის პროგრამებით. სტაბილურდება ურთიერთობა ევროკავშირთან. ოზალის პერიოდში ევროკავშირში გაწევრიანება კვლავ სტრატეგიულ არჩევანს წარმოადგენდა (მაჩიტაძე ე. , 2024). აღნიშნული ცხადყოფს, რომ სამხედრო გადატრიალებების ფონზე ეროვნული დონე ყოველთვის მიისწრაფოდა ევროპის ნაწილად გარდაქმნისაკენ. ანკარა მუდმივად მუშაობდა დაეკმაყოფილებინა ევროკავშირის სტანდარტები. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში გაწევრიანება თურქეთის მოცემულობაში ნორმატიული იყო. თურგუთ ოზალის პროგრამამ “24 იანვრის გადაწყვეტილებამ” თურქეთის ეკონომიკა კრიზისიდან გამოიყვანა (მანჩხაშვილი, 2014).

80-იანი წლების საგარეო მიმართულება ორიენტირებულია რეგიონში ადგილის დამკვიდრებისაკენ. ანკარას სურს დაძლიოს არათანაბარი რეგიონული განვითარება და იქცეს მოწინავე სახელმწიფოდ ევროპის რუკაზე. თურქეთი ამ პერიოდში მიისწრაფვის

გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი და გააღრმავოს ურთიერთობები აშშ-თან. ცივილიზაციური სხვაობა თურქეთს აიძულებს დაძლიოს გეოპოლიტიკურ სივრცეში გაბატონებული მცდარი შეხედულებები. სამუელ ჰანთინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“ ამ მოსაზრების გამამყარებელ საფუძველს წარმოადგენდა. ანკარა ცდილობდა დამტკიცებას, რომ იმსახურებს იქცეს ევროპის ნაწილად, ცივილიზაციური სხვაობა არ არის შემაფერხებელი ინტეგრაციის პროცესის (მანჩხაშვილი, 2014).

90-იან წლებში თურქეთის პოლიტიკურ სისტემაში იწყება ისლამური ბუმი. ხელისუფლების სათავეში მოდიან პროისლამური ხელისუფლების წარმომადგენლები. ყალიბდება ისლამური საძმოები, სექტები და.ა.შ. გარკვეულ წრეებში ჩნდება სურვილი საგარეო პოლიტიკის გადახედვის, სახელმწიფო წყობის შეცვლის. გაჩნდა მიზანსწრაფვა წარსული უწყვეტობის აღდგენის, ისტორიული გამოცდილების გაცნობიერების. ამ პერიოდში, პარტიათა მხარდამჭერები მუსლიმურ საძმოები იყვნენ. „განვითარებისა და სამართლიანობის პარტიის -AKP“ მხარდამჭერებს ნურჯისტები წარმოადგენდნენ, „კეთილდღეობის პარტია“ ისლამისტურ ფუნდამენტალიზმს ეყრდნობოდა. პარტიის ლიდერი ნეჯმეტინ ერბაქანი ქადაგებდა, რომ “თუ კი არ დაუჯერებდნენ მის პარტიას, მალე თურქეთი ქრისტიანული სამყაროს მონად იქცეოდა” (მანჩხაშვილი, 2014). წინააღმდეგი იყო სახელმწიფოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში პროისლამური ძალები მოდიან ნარჩუნდება საგარეო კურსი. ანკარა კვლავ იბრძვის რეფორმების განხორციელებით ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ. 1997 წელს ლუქსემბურგის სამიტზე თურქეთი ელოდებოდა, რომ კანდიდატის სტატუსს მისცემდნენ, თუმცა, სტატუსი ვერ მიიღო. პოლიტიკურ სივრცეში განიხილავდნენ თურქეთის ურთიერთობების შენელებას დასავლეთთან (მჭედლიშვილი, 2021). თურქეთი განაწყენებული იყო ევროპაზე. ერთის მხრივ, ესმის საბერძნეთის წინააღმდეგობა, თუმცა ვერაფრით ხსნის გერმანიის პოზიციას, როდესაც მისი მოსახლეობის ეთნიკურად დიდი ნაწილი თურქია. 2004 წელს ანკარას კვლავ უარი ეთქვა გაწევრიანებაზე. მოსახლეობის დიდი რაოდენობა აღმოჩნდა მიზეზი, რატომაც სახელმწიფოს გაწევრიანების პროცესი დაიბლოკა. თუ თურქეთი გახდებოდა წევრი,

ევროკავშირის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით გადაწყვეტილებაზე გავლენას სწორედ ის მოახდენდა, რაც ევროპისთვის საგანგაშოდ აღიქმებოდა.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ თურქეთს ნამდვილად ჰქონდა სურვილი ყოფილიყო ევროპის განუყოფელი ნაწილი, მიუხედავად ცივილიზაციური სხვაობისა. მაშინ, როდესაც სამხედრო გადატრიალებები ხდებოდა ეროვნული დონე საგარეო პოლიტიკურ კურს არ ცვლიდა. მთავარი ინდიკატორი რატომაც შეცვალა ანკარამ მიდგომა გეოპოლიტიკურ სივრცეში შეგვიძლია ორ ფაქტორს დავუკავშიროთ. ერთის მხრივ, თურქეთმა გაიაზრა ისტორიული გამოცდილება. მეორე მხრივ, ანკარა მიხვდა, რომ საჭიროა იქცეს დამოუკიდებელ ძლიერ აქტორად, დაიმკვიდროს თავი რთულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში (მანჩხაშვილი, 2013). აღსანიშნავია, რომ სწორედ ფასეულობათა გადააზრების პროცესში უნდა მომხდარიყო მრავალვექტორული ბუნების განვითარება, რომელიც თავდაპირველად მიემართებოდა ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის სახელმწიფოებს. ერთის მხრივ, ანკარა მიისწრაფოდა ევროპისაკენ. მეორე მხრივ, მუდმივად ცდილობდა ალტერნატიული პარტნიორების მოძიებას ყველა რეგიონში, მათ შორის შავი ზღვის რეგიონში რუსეთის სახით.

ექსპერტთა აზრით, ეროვნულ დონეზე მიმდინარე ცვლილებები არ ნიშნავს, რომ თურქეთი დასავლეთისგან გარიყვას ახდენდა. მისი მოქმედება ეფექტური დიპლომატიის ნაწილია, რომელიც ისტორიულად არის ჩამოყალიბებული. დაბალანსების პოლიტიკით, ანკარა ცდილობდა პოზიციების გამყარებს პარტნიორებს შორის. თურქეთის გამოცდილება, მრავალვექტორული პოლიტიკის ფორმირების პროცესში ცხადყოფს, რომ ანკარას “საკუთარი თამაშის და ძალებს შორის ბალანსის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს”.³

2.2 თურქეთის საგარეო პოლიტიკის რეგიონული ანალიზი

თურქეთის გეოპოლიტიკური მოცემულობა ისტორიულად განმტკიცებულია. ფერნანდ ბრაუდელის წიგნში “ცივილიზაციათა ისტორია” აღნიშნულია ორი ცივილიზაციის

³ გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

შექმნა (მანჩხაშვილი, 2013). ცივილიზაციების განვითარების დღიდან იწყება მსოფლიო რუკისა და გავლენის სივრცის შექმნა. თურქეთი, როგორც ისტორიულად ცივილიზაციის ნაწილი განიხილებოდა გეოპოლიტიკურ ცენტრად, აკავშირებდა ევროპასა და აზიას. ამ პერიოდის კარტოგრაფია ასახავდა თურქეთის გარშემო არსებულ სივრცეებს, მათ შორის, შავი ზღვის რეგიონს. აღნიშნული, ცხადყოფს, რომ შავი ზღვის რეგიონის აღქმა თურქეთის მეხსიერებაში ისტორიულად არის ფორმირებული, როგორც გავლენის არეალი. ცივილიზაციათა ცვლა, მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებები სისტემაში ყოველთვის ახდენდა გავლენას გეოსტრატეგიულ მიდგომათა ფორმირებაზე. არსებობდა პერიოდი, როდესაც თურქეთი შავი ზღვის რეგიონით აქტიურად ინტერესდებოდა, თუმცა, გარკვეული პროცესები ხშირად მისგან დისტანცირებას აიძულებდა.

ცივი ომის დასასრულს თურქეთი რეგიონში ავითარებს სტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ პოზიციონირებას. ოზალის ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში ანკარამ შექმნა მრავალმხრივი საგარეო პოლიტიკა (მაჩიტაძე ე. , 2024). ეროვნულ დონეზე მიმდინარე ცვლილებებმა გამოიწვია ახალი პასუხისმგებლობათა ჩარჩოს ფორმირება, რაც მოითხოვდა თურქეთის ხელახალი პოზიციის განსაზღვრას შავი ზღვის რეგიონში. ამასთანავე, ცვლილებებს თან ერთვის რეგიონული ტრანსფორმაცია შავი ზღვის რეგიონში. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ წარმოქმნილი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენდნენ რუსეთის წინააღმდეგ. ანკარა მზად იყო დაემყარებინა ურთიერთობები პოსტსაბჭოთა სივრცესთან გავლენის ზონის ფორმირების კონტექსტში (მანჩხაშვილი, 2021). თურქეთის ნაბიჯი შექმნას იდენტობა შავი ზღვის რეგიონში აღქმულია, როგორც სწრაფვა გეოპოლიტიკური სიძლიერისაკენ. სახელმწიფოები, როდესაც პრეტენზიას აცხადებენ მსოფლიო ბატონობაზე, გეოპოლიტიკურ თეორიებს საგარეო პოლიტიკის მიდგომებად აქცევენ. ანკარა შავი ზღვის რეგიონში აღიქმება, როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშე, რომელიც ისტორიის ყველა ეტაპზე გეოპოლიტიკურ თეორიათა ჩარჩოს ფარგლებში ახდენდა საგარეო პოლიტიკის ფორმირებას.

შავ ზღვის რეგიონისადმი ინტერესი „სტრატეგიული სიღრმის“ თეორიის ნაწილია. თეორია თურქეთს განიხილავს ცენტრალურ სახელმწიფოდ, რომელიც მდიდარია გეოგრაფიული და ისტორიული ლიდერისთვის დამახასიათებელი ბუნებით. თურქეთი დიდხანს ინარჩუნებდა იზოლაციურ მდგომარეობას (მჭედლიშვილის, 2021). არსებობდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც თურქეთი ჩაკეტილი სისტემიდან გამოიყვანა. კერძოდ, ეროვნული დონის კრიზისი, ეკონომიკური სტაგნაცია, გლობალური დამაბულობა, დასავლეთთან უკმაყოფილება და საბჭოთა კავშირის ნგრევა. თურქეთმა აღიდგინა საკუთარი როლი, როგორც ხიდი ორ ცივილიზაციას შორის, რაც მრავალვექტორული პოლიტიკის განვითარების წინაპირობა აღმოჩნდა. ვინაიდან, თურქეთი მრავალი იდენტობის მქონე სახელმწიფოა, მდიდარი ისტორიული გამოცდილებითა და დიპლომატიური ნიჭით (Tokdoğan, 2018). თავდაპირველად, მრავალვექტორული პოლიტიკა მიმართული იყო დასავლეთსა და აზიას შორის. თუმცა, დაბალანსებულ ურთიერთობებს ანკარა ინარჩუნებდა ყველა რეგიონში მათ შორის შავი ზღვის რეგიონშიც.

90-იან წლებში განვითარებული „სტრატეგიული სიღრმე“ იყო საყრდენი ისტორიული გამოცდილების. საერთაშორისო სისტემაში არსებული საშუალო ძალაუფლების კონცეფცია აღწერს თურქეთის მრავალვექტორულ პოლიტიკას , რომელიც ვლინდება დიპლომატიურ, სამხედრო და ეკონომიკურ აქტივობებში. ანკარა როგორც რეგიონული ძალა მიისწრაფვის გლობალური საშუალო ძალაუფლების სტატუსისაკენ. ამისთვის ცდილობს გავლენის გაზრდას არა მარტო შავი ზღვის რეგიონში არამედ, ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში (მანჩხაშვილი, 2013). თურქეთის პოლიტიკური ელიტა მიჩნევს, რომ თურქეთს აქვს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა, განსაკუთრებული ისტორიული როლი ცივილიზაციათა ჩამოყალიბებაში. საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში საჭიროა გათვალისწინებული იყოს ისტორიული გამოცდილება და მრავალფეროვანი იდენტობა.

დავითოღლუ აღნიშნავს, რომ შავი ზღვის რეგიონისადმი ინტერესი გამოწვეულია წარსული ისტორიის გახსენებით (Walker, 2011). ორ ცივილიზაციას შორის მოქცეული, ისტორიულად გამოცდილი თურქეთი არის საუკეთესო აქტორი, რომელსაც შეუძლია ამ ორი სამყაროს დაკავშირება, ვინაიდან, ეს პოზიცია მისი ისტორიული

პასუხისმგებლობაა. აღნიშნული თურქეთს მხოლოდ მრავალვექტორული პოლიტიკის ფორმირებით შეუძლია.

საგარეო პოლიტიკური ჩარჩოს ანალიზი რეგიონულ დონეზე ემყარება გამოჩენილი გეოპოლიტიკოსების მაკინდერის, ჰაუსჰოფერის, სპაიკმაის იდეებს. დავითოღლუ თავის წიგნში „სტრატეგიული სიღრმე: თურქეთის პოზიცია საერთაშორისო წესრიგი“, აღნიშნავს, რომ თურქეთი მრავალვექტორული პოლიტიკით, სახელმწიფოს ახალ „ისტორიულ ლინზებში“ წარმოაჩენს (კაციტაძე, 2001). ანკარამ განავითარა ახალი დიპლომატიური ენა და საგარეო პოლიტიკური მიმართულება.

თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის მიდგომა რეგიონულ დონეზე ეფუძნება ნიკოლა სფაიქანის გეოპოლიტიკურ ხედვას, კერძოდ, სანაპირო ზონების თეორიას - რიმლენდს(Rimland) (გეგეშიძე, 1999). იგი ახდენს პლანეტარული სივრცის სტრუქტურულიზაციას, მსოფლიო წარმოდგენილია გავლენის წრეების სახით. ამ სისტემის ცენტრი ჰართლენდია(HeartLand), „შუაგული მიწა“, როგორც მაკიდენრი აღნიშნავდა. მისგან განსხვავებით სფაიქანი აყალიბებს ღერძული არეალის სივრცეს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჰართლენდზე ბატონობისათვის. სფაიქანმა გამოყო რიმლენდის სივრცეები, შიდა და გარე ნახევარმთვარეები. გარე ნახევარმთვარე მოიცავს: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი და სხვა სახელმწიფოებს. შიდა ნახევარმთვარე მოიცავს აზიის გარშემო არსებულ სივრცეებს, შავი ზღვის რეგიონს, სამხრეთ კავკასიას, ახლო აღმოსავლეთსა და სხვა რეგიონებს. შიდა ნახევარმთვარე და ჰართლენდი ისტორიულად მუდმივად ახდენდნენ ერთმანეთზე გავლენას, რის გამოც რიმლენდი იყო გაორებული. მუდმივად განიცდიდა დაპირისპირებულ კულტურათა ზეგავლენას. დავითოღლუს აღნიშვნით, ანკარა სწორედ ამ არეალს წარმოადგენდა, სადაც ერთმანეთს მრავალი კულტურა უპირისპირდებოდა (Walker, 2011). რიმლენდის ნაწილი უფრო მეტად მოძრავია ვიდრე ჰართლენდის, ამიტომ იქცა ეს არეალი ცივილიზაციის განვითარების ცენტრად. თურქეთს მდებარეობა მომგებიან პოზიციაში აყენებს, იქცეს ცივილიზაციის ცენტრად და გაბატონდეს რიმლენდის შიდა ნახევარმთვარეს არეალში (გეგეშიძე, 1999). სფაიქანი გეოპოლიტიკურ ხედვაში ზრდის სანაპირო ზოლების ისტორიულ ფუნქციას. მისი ხედვით ვინც ამ სივრცეში ბატონობს მის ხელშია მთელი მსოფლიო. „ ვინც ბატონობს რიმლენდში ბატონობს ჰართლენდზე. ვინც ბატონობს

ჰართლენდში ბატონობს მსოფლიო კუნძულზე. ვინც ბატონობს მსოფლიო კუნძულზე ბატონობს მთელს მსოფლიოში“ (კაციტაძე, 2001).

სფაიქანის გეოპოლიტიკური ხედვა არის არგუმენტი თურქეთის გეოპოლიტიკური პოზიციის შავი ზღვის რეგიონში. ისტორიული პასუხისმგებლობა, რაც გეოპოლიტიკურად ჰართლენდისა და რიმლენდის ურთიერთობით აიხსნება თურქეთს უბიძგებს გაბატონდეს შავი ზღვის რეგიონში. შავი ზღვა წარმოადგენს შიდა ნახევარმთვარის ნაწილს, რომელზე ბატონობაც, აძლევს ბერკეტს თურქეთს იქცეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ მოთამაშედ მსოფლიო კუნძულზე.

2.3 თურქეთის საგარეო პოლიტიკის გლობალური ანალიზი

თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ანალიზის ერთეულს გლობალურ დონეზე მიმდინარე პროცესები წარმოადგენს. თურქეთის საგარეო პოლიტიკა ადრეულ ეტაპზე არ ხასიათდებოდა “მრავალწახნაგოვანი პოლიტიკით”⁴. ბოლო ათწლეულებში პარტნიორებთან არსებულმა თანამშრომლობამ განაპირობა მრავალვექტორული პოლიტიკის ფორმირება. შესაძლებელია გამოვყოთ ორი ძირითადი გლობალური აქტორი, რომლებიც გავლენას ახდენდნენ თურქეთის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. აშშ და რუსეთი მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ შავი ზღვის რეგიონში პოლიტიკური პროცესების ჩამოყალიბებაში (მანჩხაშვილი, 2013).

აშშ-ს და თურქეთის თანამშრომლობა ხანგრძლივ პერიოდს ითვლის. პარტნიორობა ორ სახელმწიფოს შორის არასდროს ყოფილა სტაბილური. დაღმავლობას ყოველთვის თან სდევდა აღმავლობა და პირიქით (Alessandri, 2011). არასტაბილური ურთიერთობის მიზეზი სახელმწიფოებს შორის ეროვნული ინტერესებით მოქმედება გახლდათ. ანკარასა და ვაშინგტონს შორის თანამშრომლობას განსაზღვრავდა უსაფრთხოებისთვის ზრუნვა (მჭედლიშვილი, 2021). მათ შორის, სიმბიოზური ურთიერთობა შეინიშნებოდა. ერთის მხრივ, აშშ -ს როგორც ჰეგემონიისთვის მეზრძოლ სახელმწიფოს სჭირდებოდა

⁴ გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

მლიერი პარტნიორი, რომელიც იქნებოდა მისი საყრდენი რეგიონში. მეორეს მხრივ, თურქეთი მუდმივად მიისწრაფოდა უსაფრთხოებისაკენ. მისი მდებარეობა, ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ შორის სახელმწიფოს დიდ აქტორთა თვალში ინტერესის ობიექტად აქცევდა. თურქეთი მუდმივად ეძებდა მლიერ მოკავშირეებს თავდაცვისათვის, ვინაიდან, მისი საგარეო პოლიტიკა საზღვრის გასწვრივ უსაფრთხოებაზე იყო ორიენტირებული (მანჩხაშვილი, 2013). აღნიშნული არ ნიშნავს, რომ აშშ-თან ერთად ბლოკში ყოფნა თურქეთს მუდმივად უსაფრთხო მოცემულობაში აყენებდა. მრავალი გამოწვევა და დაბრკოლება სახელმწიფოს სულ უფრო მეტად აიძულებდა საგარეო პოლიტიკის ჩარჩოს გადააზრება მოეხდინა. ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის მუდმივად სარგებლისთვის ბრძოლას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ურთიერთობები აშშ-ს და თურქეთს შორის თანამშრომლობაზე მეტად მუდმივი დამაბულობა იყო, სადაც თურქეთს მუდმივად უწევდა ეროვნული ინტერესების დაცვა. როდესაც ორ პარტნიორს შორის ურთიერთობები იძაბებოდა, ბუნებრივია, რომ თურქეთი ვერ ახდენდა უპირატესობის პოვნას. ექსპერტები აღნიშნულ ურთიერთობათა ცირკულაციას აფასებენ როგორც “დაჭიმვა მოშვების პოლიტიკას” (მანჩხაშვილი, 2013).

50-იან წლებში პარტნიორები თურქეთს აღიქვამენ, როგორც ხიდის ფუნქციის შემსრულებელ აქტორს ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთ შორის. სწორედ ამიტომ, განვითარების ამ ეტაპზე, თურქეთის იდენტობა სცილდება მუსლიმანურ სამყაროს და მიისწრაფვის ევროპისაკენ. თუმცა, გეოგრაფიული მდებარეობა ხშირად თურქეთს საფრთხის წინაშე აყენებდა. განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთთან მიმართებით.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონულმა პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებზე. მეტიც, ანკარას მისცა ბიძგი ახალი საგარეო მიმართულება განევიტარებინა. აშშ-ის ინტერესის ობიექტი მუდმივად ახლო აღმოსავლეთი იყო. თურქეთი კი როგორც ამ რეგიონის ნაწილი, აშშ-ის მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა (Alessandri, 2011). სულ უფრო აქტუალური ხდებოდა თურქეთის პოლიტიკურ სივრცეში, რომ ანკარას ახალი როლი უნდა ეკისრა გეოპოლიტიკურ სივრცეში. ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესები, განსაკუთრებით, 80-იან წლებში თავსებადი ხდებოდა აშშ-თან. ისლამური ხელისუფლების აღზევება

თურქეთში ახლო აღმოსავლეთის ინტერესის ობიექტად აქცევდა. ამ ეტაპზე შეინიშნება მრავალვექტორული პოლიტიკის განვითარების შესაძლებლობები, როდესაც სახელმწიფო პოზიციების მოსინჯვას ცდილობს ახალ რეგიონში. მიუხედავად ამისა, ოზალის მმართველობა დასავლურ კურს ინარჩუნებდა. უსაფრთხოების სფეროზე გავლენას ეკონომიკური თანამშრომლობა ახდენდა. ეკონომიკური დახმარებისთვის ბრძოლა ხშირად ურთიერთობებს ძაბავდა. 80-იან წლებში აშშ-გან თურქეთმა ეკონომიკურ დახმარებაზე უარი მიიღო, რამაც ურთიერთობების დამაბზა გამოიწვია პარტნიორებს შორის. აშშ-მა ამ პერიოდში დაიწყო ანტი თურქული ნაბიჯების გადადგმა. წაუყენა ულტიმატუმი_ დახმარებას მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუ შეამცირებდა კვიპროსზე სამხედრო ყოფნასა და იქ აშშ-ის იარაღს არ გამოიყენებდა (მჭედლიშვილი, 2021). ამასთანავე, აშშ-მა 1984 წელს აღიარა სომხეთის გენოციდი თურქეთის მხრიდან და შეამცირა მასთან სავაჭრო ურთიერთობები. მკაცრი პოლიტიკა თურქეთს უბიძგებდა საყრდენი წერტილის ფორმირებისაკენ, რაც გამოიხატებოდა დამატებით პარტნიორთა მოძიებაში (მანჩხაშვილი, 2013).

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, ურთიერთობებს შორის წითელი ხაზი, როდესაც თურქეთის საგარეო პოლიტიკა პარტნიორობის, მიუხედავად, ხისტი ხდებოდა. კერძოდ, საქმე ეხებოდა ქურთების საკითხს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. აშშ-ის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში საფრთხეს უქმნიდა თურქეთის ეროვნულ მთლიანობას (Mohammed & Romano, 2023). აღნიშნული გამოჩნდა ერაყში მიმდინარე პროცესების დროს. აშშ-ის მხრიდან ერაყზე თავდასხმა, ეროვნულ დონეზე თურქეთმა აღიქვა, როგორც თავდასხმა მუსლიმ ხალხზე. გაჩნდა საფრთხე, რომ შესაძლებელი იყო ქურთებისთვის ავტონომია მიენიჭებინა აშშ-ს, რაც თურქეთს შიდა არეულობას უქადდა. რთული ურთიერთობები არ უნდა ჩავთვალოთ ისე თითქოს, ეს იყო მკაფიო გარდატეხა თურქულ-ამერიკულ ურთიერთობებში. ამ ორ სახელმწიფოს ერთმანეთი მუდმივად სჭირდებოდა. ამრიგად, ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები არასდროს ყოფილა მარტივი. მიუხედავად უთანხმოებისა, დღემდე ერთმანეთის მუდმივი პარტნიორები არიან, იზიარებენ დემოკრატიულ იდეებსა და თანამშრომლობენ ყველ სექტორში. ანკარამ საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღო ძლიერ აქტორთან თანამშრომლობით. დიდი გავლენის მიუხედავად, შეძლო

ლავირების პოლიტიკის განვითარება, დიპლომატიური ენის დახვეწა. გამოცდილებაზე დაყრდნობით გაიაზრა, რომ ერთ სახელმწიფოზე დამოკიდებულება შეცდომაა (მჭედლიშვილი, 2021). სახელმწიფომ მუდმივად უნდა ეძიოს მოკავშირეები, იმისთვის, რომ დაიცვას ეროვნული ინტერესები. შესაბამისად, ეს არის საფუძველი იმის რატომაც სახელმწიფომ გადაწყვიტა მრავალვექტორული პოლიტიკის ფორმირება.

თურქეთ-რუსეთის თანამშრომლობის განვითარება არის შედეგი მრავალვექტორული პოლიტიკის. ერთის მხრივ, მრავალვექტორული პოლიტიკა მიმართული იყო ყოველთვის ურთიერთობების დაბალანსებისაკენ. მეორე მხრივ, საკუთარი გავლენის შენარჩუნებისაკენ რეგიონში.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ანკარა მიისწრაფოდა ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის შეკავებისაკენ (მანჩხაშვილი, 2021). ურთიერთობათა ტრანსფორმაცია მას შემდეგ იწყება, რაც საბჭოთა სისტემა იშლება. ამ პერიოდს თან ერთვის უკმაყოფილების ზრდა ეროვნულ დონეზე დასავლეთისადმი, რაც აძლევდა შესაძლებლობას სახელმწიფოს ეზრუნა დამატებითი კავშირების განვითარებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს საფრთხედ აღიქვამდა მაინც ახერხებდნენ თანამშრომლობას. 1992 წელს ურთიერთობები ფართო თანამშრომლობით ხასიათს იღებს. 1992 წელს ჩატარებული სიმპოზიუმზე ორ სახელმწიფოს შორის აღინიშნა 500 წელი თურქულ რუსულ ურთიერთობების", რაც ახალი დიპლომატიური კავშირების განვითარებას ნიშნავდა (მანჩხაშვილი, თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლები, 2013). ეროვნულ დონეზე მიმდინარე ცვლილებებმა, კერძოდ, ნაციონალური ხელისუფლების მოსვლამ ხელი შეუწყო პარტნიორობის გაღრმავებას. თანამშრომლობითი ურთიერთობები განვითარდა განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში. თურქეთი ბუნებრივი აირის იმპორტის 2/3 ნაწილს რუსეთიდან ახორციელებს (Hamilton & Mikulska, 2021). მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის სფეროში ამ ორ სახელმწიფომ შეძლეს თანამშრომლობა, თურქეთი ალტერნატიული გზების განვითარებას ესწრაფვის, რათა თავიდან აირიდოს ერთ-სახელმწიფოზე მიბმა. განავითარა ისეთი პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ტრანსადრეატიკის, ტრანსანატოლიის მილსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმი. აღნიშნული მიდგომა თურქეთს სჭირდება, ვინაიდან შექმნას მეტი ლავირების

საშუალება პარტნიორებს შორის. რუსულ-თურქულ ურთიერთობებში გარდამტეხი მნიშვნელობის აღმოჩნდა ქურთების საკითხი (Mohammed & Romano, 2023). რუსეთი მხარდაჭერით პასუხობდა თურქეთიდან დევნილ ქურთ ტერორისტებს, რაც თურქეთისთვის უარყოფითად აღიქმებოდა.

გლობალური დონის ანალიზი ცხადყოფს, რომ გლობალურ დონეზე მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა თურქეთის საგარეო მიდგომათა ფორმირებაზე. როდესაც ურთიერთობა იძაბებოდა ერთ მოკავშირესთან თურქეთი ყოველთვის პოულობდა მის ალტერნატიულ აქტორს. შესაბამისად, ისტორიული გამოცდილებით ანკარამ შეძლო მრავალვექტორული პოლიტიკის ჩამოყალიბება ეროვნული ინტერესების დასაცავად (მანჩხაშვილი, 2014).

აღსანიშნავია, რომ როგორც რუსეთთან, ასევე აშშ-თან მიმართებით “მრავალწახნაგოვანი საგარეო პოლიტიკის ფორმირებას მუდმივად მოჰქონდა ზიგზაგები”⁵. 2015 წელს, როდესაც თურქეთმა ჩამოაგდო რუსული გამანადგურებელი SU-24, ვინაიდან, იგი შევიდა ნატოს საჰაერო სივრცეში. ეს იყო პასუხი, რომ ანკარა შეცდომებისადმი უმოწყალოა (ბატაშვილი, 2022). თუმცა, ამან დაძაბა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები ეკონომიკის სექტორში. თურქეთისთვის შეზღუდული სავაჭრო ურთიერთობები მძიმე იყო, მოიცავდა ათეულობით მილიარდ დოლარს. საპასუხოდ, რუსეთმა ააფეთქა სირიაში თურქული ჯარის კონვეი.

რაც შეეხება აშშ-ს, თურქეთს მასთან ურთიერთობის დაძაბვა ძვირად უჯდება. ეს აისახება ნაკლები სამხედრო დახმარებით, პროექტების ნაკლებობით, პოლიტიკური მხარდაჭერის შემცირებით (Ataman, 2023). ექსპერტების შეფასებით, რისკები და ამავე დროს შესაძლებლობები მრავლად ახლავს მრავალვექტორულ პოლიტიკას. თუმცა, “თურქეთმა გაუძლო ყველაფერს და გადაიტანა, შესაბამისად, ყველაფერს აქვს საფასური”.⁶

⁵ გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

⁶ გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

თავი 3: თურქეთის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის გავლენა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს გეოპოლიტიკური აღქმა ტრანსფორმირებას განიცდის. საქართველო, როგორც განსხვავებული იდენტობისა და ღირებულებების ქვეყანა, მუდმივად ცდილობდა სამხრეთ კავკასიის რეგიონისგან დისტანცირებას. შეუსაბამო განლაგების თეორია ხსნის საქართველოს რეგიონისგან დისტანცირების სწრაფვას. სახელმწიფოები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სათანადოდ არ შეესაბამებიან იმ რეგიონს, სადაც შემთხვევით იმყოფებიან, იცავენ იდენტობას, რომელიც სხვადასხვა გზით ვლინდება და მკვეთრად განსხვავდება მათ გარშემო არსებული სახელმწიფოებისაგან, მუდმივად მიისწრაფვიან რეგიონისგან დისტანცირებისაკენ (Kakachia & Lebanidze, 2024). საქართველო ცდილობდა „შავი ზღვის რეგიონული იდენტობის“ ფორმირებით უსაფრთხოების დამკვიდრებას (Cecire, 2013).

სამხრეთ კავკასიის რეგიონისგან დისტანცირება საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან იწყება, რაც ნაკარნახევი იყო რუსეთის რეგიონული ჰეგემონიის დაბალანსების სურვილით. თბილისს არ სურდა რუსეთთან ფართო კავშირების შენარჩუნება. თუმცა, დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველო იძულებული გახდა შიდა კონფლიქტებისა და უსაფრთხოების გაუარესების გამო გაწევრიანებულიყო 1993 წელს დსთ-ში, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (CSTO) და შეენარჩუნებინა გარკვეული ურთიერთობა რუსეთთან (Aydın, 2024). ორგანიზაციიდან გამოსვლის შემდეგ, საქართველომ მტკიცედ დაიწყო სწრაფვა ევროპისაკენ. მიუხედავად ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების კრიზისებისა, საქართველო ცდილობდა შავი ზღვის რეგიონში თავის დამკვიდრებასა და ევროინტეგრაციას. მაშინ, როდესაც საქართველო რეგიონისგან დისტანცირებას ცდილობდა, თურქეთიც ამ დროს ახალი იდენტობის ძიების პროცესში იყო (Ergun, 2023). ამ პერიოდში, ანკარამ საგარეო პოლიტიკური ჩარჩო შეცვალა, „სტრატეგიული სიღრმის მიდგომით“, რომლის დახმარებითაც თურქეთი რეგიონული ლიდერის სტატუსის ფორმირებასა და გავლენის არეალის შექმნას ესწრაფოდა. სტრატეგიული

სიღრმის პოტენციალის ფლობა საქართველოს თურქეთის ინტერესის ობიექტად აქცევდა.

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის განახლდა. ადრე არსებული მტრის აღქმა შეიცვალა თანამშრომლობით. თურქეთი იყო პირველი დიდი სახელმწიფო და ამასთანავე, ერთადერთი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. 90-იან წლების ეკონომიკური კრიზისის დროს თურქეთიდან შემოსული პროდუქტები ეკონომიკური სტაბილურობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა (სანიკიძე, 2023). რუსეთის აგრესიული ქმედებების ფონზე საგრძნობლად გაიზარდა ქვეყანაში თურქეთის როლი. ანკარა საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან მკაფიოდ უჭერს მხარს მის ეროვნულ და ტერიტორიულ მთლიანობას, აღიარებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს. 1992 წელს თურქეთის ინიციატივით შექმნილმა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ (BSEC) ხელი შეუწყო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას პარტნიორებს შორის (Aydin, 2024).

ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის განვითარება, განსაკუთრებით, ენერგეტიკის სფეროში წარმატებული აღმოჩნდა. 1998 წელს „ანკარის დეკლარაციით“ და 1999 წლის „ეუთო-სტამბოლის სამიტით“ დაიწყო ენერგო სატრანსპორტო ქსელების მშენებლობა. წარმატებით ფუნქციონირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC), ბაქო-თბილისი-ერზურუმი, „სამხრეთ კავკასიის გაზსადენი“, ტრანს-ანატოლიური მილსადენი (TANAP), ტრანს-ადრიატიკული მილსადენი (TAP) (Cecire, 2013). ერთი მხრივ, თურქეთმა ენერგო ექსპორტის განვითარებით შეძლო „სტრატეგიული სიღრმის“ მიდგომის დამკვიდრება, რეგიონული ლიდერის სტატუსის ზრდა შავი ზღვის რეგიონში. ანკარა იქცა „ენერგეტიკულ ჰაბად“, რომელსაც შეეძლო ენერგიის მიწოდება ევროპისთვის რუსეთის გვერდის ავლით. მეორე მხრივ, საქართველომ ენერგო ტრანსპორტი გამოიყენა სატრანსპორტო ფუნქციის მნიშვნელობის ზრდაში, რამაც ხელი შეუწყო სტრატეგიული წონის ზრდას ევროპის თვალში.

საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თანამშრომლობის გაღრმავება უსაფრთხოების სფეროში. “ჩვენ გვაერთიანებს საქართველოსთან არამც თუ მარტო სიმშაბათია, არამედ მიზანთა ერთობლიობაც. ჩვენ გვყავს ძლიერი მტერი

დასავლეთით და გვესაჭიროება ძლიერი აღმოსავლეთი. განსაკუთრებით, გვჭირდება ძლიერი კავკასია და კავკასიაში კი ყველაზე მნიშვნელოვანი ერი – ჩვენ გვჭირდება საქართველო ძლიერი და დამოუკიდებელი” (მანჩხაშვილი, 2021).

თურქეთის დელეგაციის ეს შეფასება დღესაც უცვლელი და მტკიცეა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოს ძლიერება მნიშვნელოვანია რეგიონული სტაბილურობისათვის. 1990 - იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე თურქეთი მკაფიოდ უჭერს მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. მევლუთ ჩავუშოდლუმ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არა ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერს. „საქართველოს ვჭირდებით და ჩვენ გვჭირდება ისეთი მოკავშირე, როგორიც საქართველოა“ (სანიკიძე, 2023). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თურქეთი შეიარაღებული ძალების სიძლიერით მეორე სახელმწიფოა, ბუნებრივია მისი მუდმივი მხარდაჭერა ნატოში გაწევრიანების გზაზე საქართველოსთვის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია.

თურქეთმა ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის გაზრდის თვალსაზრისით, საქართველოს მრავალი პლატფორმა შესთავაზა. 2012 წელს საქართველოსა და თურქეთს შორის უსაფრთხოების სფეროში გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ოფიცრებს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ თურქეთში ნატოს მიერ მხარდაჭერილ სკოლებსა და წვრთნებში (Cecire, 2013). ქართულ ჯარს წვრთნიან გამოცდილი თურქი სამხედრო გენერლები. ჩამოყალიბდა კავკასიის სამუშაო ჯგუფი, რომელიც ზრუნავს ქართველი სამხედროების განვითარებაზე. პარტნიორებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებებს სამხედრო სწავლებების, სამხედრო ტექნოლოგიების შესახებ. თურქეთის ფინანსური ძალებით აღდგა სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო ობიექტები, მათ შორის მარნეულის აეროდრომი (Aydin, 2024). ანკარა მუშაობს საქართველოსთან ერთად სამხედრო წვრთნებში („Eternity“, „Caucasus Eagle“, „Agile Spirit“).

თურქეთის ნატოში გაწევრიანებამ, გაძლიერებულმა სამხედრო, ეკონომიკურმა მხარდაჭერამ ანკარა საქართველოს მნიშვნელოვან სტრატეგიულ მოკავშირედ აქცია. თანამშრომლობის განვითარების ეტაპზე ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გართულების შემთხვევა არ შეინიშნება, თუმცა გარკვეულ პროცესებში დაბნეულობას

ვხვდებით. ქართულ-თურქულ ურთიერთობებში პარტნიორობისა და თანამშრომლობის გამოცდა 2008 წლის ომის დროს დაიწყო. რუსეთის აგრესია მკაცრი მესიჯის მატარებელი იყო. მოსკოვი თბილისს კვლავ გავლენის სფეროდ აღიქვამდა, მას არ სურდა ნატოს გაფართოება და საქართველოს გაძლიერება, რაც ცხადყოფს, რომ არ დაუშვებს მოსკოვი სხვა უცხო ძალის გაძლიერებას რეგიონში (Samkharadze, 2021). თურქეთი გამოირჩევა პრაგმატული აზროვნებითა და ფრთხილი დიპლომატიით. რბილი ძალის პოლიტიკით, ცდილობს, გაატაროს „ნულოვანი პრობლემების პოლიტიკა“ მეზობლებთან, რათა უზრუნველყოს მეტი მანევრირების შესაძლებლობა რეგიონში. 2008 წლის აგვისტოს ომში თურქეთმა აღიარა რუსული აგრესია. თუმცა, მისი პასუხი მხოლოდ სამშვიდობო პროექტით შემოიფარგლა. მოსკოვი თურქეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია, ბუნებრივია, რომ საქართველოსთან შედარებით თურქეთს რუსეთისგან უფრო მეტი სარგებელი აქვს (Cecire, 2013). კონფლიქტის პროცესში ანკარა ერიდებოდა მკაფიო განცხადებებსა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ვინაიდან მოსკოვთან ურთიერთობა მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. საქართველო თურქეთის ურთიერთობებს შორის პროცესში, 2008 წლის აგვისტოს ომმა გამოკვეთა, რომ თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა ემყარება პრაგმატიზმს, მოქმედებას სარგებლის თვალსაზრისით გეოპოლიტიკურ სივრცეში. ამრიგად, თურქეთს აქვს თავისი ინტერესები, რომელთა აღსრულებასაც ესწრაფვის. ურთიერთობათა ანალიზი ცხადყოფს, რომ თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა ყოველთვის არ იძლევა ერთნაირ შედეგს. შესაძლებელია, გამოვყოთ გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯები რომელიც, პოზიტიური შედეგების მქონეა, ან პირიქით უარყოფითი. მიუხედავად ინტერესთა სრული თანხვედრის არქონისა, საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული მიზნები, შეხედულებები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

ანკარა დღემდე საქართველოს მნიშვნელოვანი მოკავშირე და პარტნიორია. თურქეთის მხარდაჭერით საქართველო ჩაერთო შავი ზღვის ინიციატივებში, რის საფუძველზეც თბილისმა შეძლო შავი ზღვის რეგიონული იდენტობის ფორმირება და სტრატეგიული მნიშვნელობის ზრდა გეოპოლიტიკურ სივრცეში (Aydın, 2024). ექსპერტთა შეფასებით, საქართველოს დამოუკიდებლობა და სტაბილურობა თურქეთისთვის სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვანია. „სტრატეგიული სიღრმის“ მიდგომას რეგიონში საქართველოს სახით აუცილებლად სჭირდება საყრდენი.

3.1 თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა: გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის.

„ძლიერი ისე მოქმედებს როგორც მას სურს , ხოლო, სუსტი იმას ეგუება რისი შეცვლაც მას არ შეუძლია“ (MacFarlane & Jones, 2023). თუკი დიდეს ეს ცნობილი დიქტატი საგარეო პოლიტიკაში აღწერს თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის მიმართებას საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან. თურქეთი რუსეთის შემდეგ შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი აქტორია თეორია „სტრატეგიული სიღრმე“ თურქეთს ძლიერ სახელმწიფოდ განიხილავს, რომელსაც აქვს ფართო შესაძლებლობა იმოქმედოს შავი ზღვის რეგიონში ისე როგორც მას სურს (Cecire, 2013). ექსპერტთა შეფასებით, მრავალვექტორული პოლიტიკა, დიპლომატიური სიძლიერის აღმნიშვნელია, რაც თურქეთის საგარეო პოლიტიკისათვის ეფექტური ხასიათისაა. თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის წარმოშობს რისკებსა და შესაძლებლობებს. საქართველო, როგორც სუსტი სახელმწიფო ეგუება იმ გეოპოლიტიკურ მოცემულობას, რაც რეგიონში წარმოიქმნება. გეოგრაფიული მდებარეობა და სტრატეგიული არჩევანის სიმწირე არ აძლევს საქართველოს მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას. ექსპერტთა განმარტებით, “თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა სახელმწიფოს მანევრირების შესაძლებლობას უზღუდავს, ვინაიდან პარტნიორობა არ არსებობს პრობლემებისა და რისკების გარეშე“⁷.

მრავალვექტორული პოლიტიკის ანალიზის ფონზე შესაძლებელია გამოვყოთ რისკები, რომელთა არსებობა საქართველოს საფრთხის ქვეშ ამყოფებს. პირველ რისკ ფაქტორად შესაძლებელია შევაფასოთ “ სტრატეგიული სიღრმის მიდგომა” , რომელიც წარმოადგენს საყრდენს მრავალვექტორული პოლიტიკის (მანჩხაშვილი, 2013). თეორიის თანახმად, თურქეთი ესწრაფვის ადადგინოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

⁷ გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

და მოიპოვოს გავლენა შავი ზღვის რეგიონში. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ თურქეთი ამ სივრცის ექსპანსიას ესწრაფვის. თუმცა, მრავალვექტორული პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში ხანდახან წარმოშობს გარკვეულ დიპლომატიურ გაუგებრობას. 2011 წელს აჰმეთ დავითოღლუმ თეორიის ფარგლებში ისაუბრა, რომ დადებითად აფასებს „ოსმალეთის იმპერიის ყოფილი პროვინციების მთავარი ქალაქების თურქულ სახელმწიფოში რეინტეგრაციას“ (Cecire, 2013). დავითოღლუს მოხსენებაში, ქალაქებს შორის მოხვდა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ბათუმი. შესაბამისად, მრავალვექტორული პოლიტიკა წარმოშობს დაკავალების საფრთხეს საქართველოსთვის. ამასთანავე რისკ ფაქტორი მოიცავს ეკონომიკურ სფეროს. არსებობს შიში ეკონომიკური დამოკიდებულის გაზრდის. საქართველოში ერთ-ერთ მიზეზად ხანდახან თურქოფობიას მიიჩნევენ. საქართველოს ისტორიული წარსულიდან გამომდინარე თურქეთის ნებისმიერი სახის გავლენის ზრდა პერიოდულად არ აღიქმებოდა პოზიტიურად.

ამასთანავე, რისკ ფაქტორებს შორისაა აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც საქართველოსთვის დამაზიანებლად შეიძლება იყოს აღქმული (Kakachia & Minesashvili, 2024). ერთი მხრივ, თურქეთი მხარ უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და აღიარებს რუსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებს. მეორე მხრივ, ანკარა მხარს უჭერს თურქ ბიზნესმენებს, განავითარონ ეკონომიკური კავშირები აფხაზეთთან. რუსეთის შემდეგ თურქეთი აფხაზეთისთვის მიიჩნევა მეორე ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორად, აღნიშნული, მთლიანი ბრუნვის 18%-ს შეადგენს (Rukhadze, 2015). ანკარამ არაერთხელ დაარღვია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ მიღებული კანონი „ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. მრავალი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც თურქული გემები უკანონოდ აწარმოებდნენ ეკონომიკურ ვაჭრობას. 2013 წელს ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას მოჰყვა „თურქეთ-აფხაზეთის“ ბიზნეს საბჭოს შექმნა. ამასთანავე, ორ პარტნიორს შორის თანამშრომლობა ეკონომიკურ მოცემულობას სცილდება. მას შემდეგ, რაც რუსეთმა აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ანკარამ გააძლიერა პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ოკუპირებულ ტერიტორიასთან.

თურქეთის მცდელობა დაამყაროს აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები, განიხილება საქართველოს სუვერენიტეტისთვის დამაზიანებლად. საქართველოს ეროვნულ ინტერესებში არ შედის თურქეთთან ურთიერთობების გაუარესება, თუმცა მისი მხრიდან სეპარატისტული რეგიონის მხარდაჭერა სახელმწიფოსთვის არასტაბილურობის მომტანია (Rukhadze, 2015).

მრავალვექტორული პოლიტიკა ქვეყნის შიგნით არსებულ რისკ ფაქტორებთან ერთად მოიცავს საგარეო რისკ ფაქტორებსაც, რომელიც ორიენტირებულია შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკურ მოცემულობაზე. რისკ ფაქტორებს შორისაა მონტრეს კონვენციის მოქმედება, რომელიც წარმოადგენს საყრდენს მრავალვექტორული პოლიტიკის (Metin Aksoy , Onur Limon , Elif Gürdal Limon, 2024). კონვენცია ნატოს ძალების შეზღუდვით ხელს უწყობს რუსეთის დომინირებას რეგიონში, რაც საფრთხეს წარმოქმნის რეგიონის წევრი სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით, საქართველოსთვის. შავი ზღვის რეგიონში ნატოს ძალების ნაკლები ყოფნა რუსეთს უქმნის შესაბამის პირობებს მომავალი თავდასხმისთვის, რაც ართულებს საქართველოს საზღვაო თავდაცვის გაძლიერებას, ამყარებს დაუცველობის რისკსა და ზრდის საფრთხეს სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანების გზაზე. საზღვაო სივრცის დაბალ უსაფრთხოებაზე მეტყველებს რუსეთის მიერ ოჩამჩირეში პორტის მშენებლობა (Kakachia & Minesashvili, 2024).

რუსეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების ფლობა შავი ზღვის აუზში ამცირებს უსაფრთხოების შესაძლებლობებს, მოსკოვს კი აძლევს ბერკეტს მოახდინოს შავი ზღვის უსაფრთხოების იმგვარი ტრანსფორმირება, როგორც ეს მას თავად სურს. რუსეთის მიერ პორტის ფუნქციონირებით საფრთხე ემუქრება საქართველოს შუა დერეფნის უსაფრთხოებას. მოსკოვმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სრულ მზადყოფნას ავლენს ჰეგემონიის განმტკიცებისათვის რეგიონში. ცხადია, რომ თურქეთის მრავალვექტორული მიდგომა და მონტრეს კონვენციის შეზღუდული ფლობა რუსეთს უქმნის გარკვეულ პირობებს გაძლიერებისთვის.

შავი ზღვის რეგიონში მოსალოდნელი რისკების ალბათობა კიდევ უფრო გაზარდა დღეს მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომმა. მოსკოვმა კვლავ დაადასტურა მისი უცვლელი ნება მოიპოვოს ჰეგემონია რეგიონში. ამის ფონზე იზრდება თურქეთის, როგორც ნატოს

წვერი სახელმწიფოს როლი კონფლიქტის ესკალაციაში. საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თურქეთის გეოპოლიტიკური ნაბიჯების ანალიზი, ვინაიდან, რეგიონში რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე ანგარიშ გასაწევ ძალას წარმოადგენს თურქეთი. რისკ ფაქტორებს შორისა სანქციების არ დაწესება რუსეთისადმი. მოსკოვი თურქეთის მთავარი პარტნიორია, რის გამოც ანკარას არ სურს ურთიერთობების გაფუჭება რუსეთთან. სანქციების არ დაწესებით, თურქეთმა რუსეთს მისცა შესაძლებლობა ძალების მობილიზების და პოზიციების აღდგენის. ცხადია, “ურთიერთობები მხოლოდ ამით შემოიფარგლება, ეკონომიკიდან არასდროს გადადის პოლიტიკურ სფეროში”.⁸ რეალურად, ამ ურთიერთობების მიღმა იმალება თურქეთის მცდელობა, მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. პოლიტიკის მსგავსი მიდგომა ექსპერტების მხრიდან შეფასებულია როგორც “ტაქტიკური თანამშრომლობა”⁹.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის პოზიციონირება კონფლიქტის ესკალაციაში, განიხილება საქართველოსთვის დადებითად. ანკარას, ნამდვილად „სურს ძლიერი უკრაინა , ვინაიდან, იგი რუსული აგრესიის შემზღუდველია”¹⁰. ეს აიძულებს თურქეთს მეტად ჩაერთოს უკრაინის გაძლიერების პროცესში, რათა შეინარჩუნოს სტრატეგიული პოზიციონირება რეგიონში. თურქეთმა ომის დაწყებიდან მონტრეს კონვენციის საფუძველზე მალევე დახურა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები და დღემდე დაკეტილად ტოვებს რუსული სამხედრო გემებისთვის. აღსანიშნავია, რომ ომის დაწყების პირველ პერიოდში, როდესაც არაფერი ისმოდა სხვა ქვეყნების დახმარების შესახებ, თურქეთი ეხმარებოდა უკრაინას. ამან დიდი როლი შეასრულა რუსული ჯარების შეკავებაში. ანკარამ მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება გაიღო უკრაინისათვის. კიევს მიაწოდა დიდი რაოდენობით “ბაირაქტარი”, საზღვაო დარტყმის საშუალებები და სხვა საბრძოლო იარაღი (ბატიაშვილი, 2022).

ექსპერტთა შეფასებით, ანკარა, რუსეთ-უკრაინის ომს უყურებს როგორც „საცდელ შესაძლებლობას”¹¹, იმოქმედოს ეფექტურად როგორც რუსეთთან, ისე დასავლეთთან, რათა დაიმკვიდროს ლიდერის სტატუსი რეგიონში. თურქეთის მხრიდან

⁸ გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

⁹ გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

¹⁰ გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

¹¹ გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

მნიშვნელოვან ნაბიჯად შესაძლოა შეფასდეს უკრაინის მხარდაჭერა ნატოში გაწევრიანების შესახებ. ეს არ არის სიმბოლური გათვლა, ეს არის სტრატეგიული მიდგომა აგრესიისადმი. ანკარა დებს „ფსონს“ უკრაინის გრძელვადიანი მშვიდობისათვის, რათა შემცირდეს რუსული ექსპანსია რეგიონში. რესპონდენტები დადებითად აფასებენ თურქეთის სტრატეგიულ ნაბიჯს, ვინაიდან ეს არის საქართველოსთვის იმედის მომცემი, მიეცეს შესაძლებლობა გაწევრიანდეს ნატოში. განსაკუთრებით, იმ მოცემულობაში, როდესაც თურქეთი, მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ალიანსში.

ბრძოლა ყველა ფრონტზე, დაბალანსებული პოლიტიკა, ფრთხილი და დახვეწილი დიპლომატია თურქეთს აქცევს „ჭადრაკის მთავარ ფიგურად“ (ბატიაშვილი, 2022). ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თურქეთის მოქმედება კონფლიქტის ესკალაციაში ტრანზაქციული პოლიტიკის ნაწილია. ანკარას არ აქვს ილუზია რუსეთის სიკეთის, ურთიერთობა არის პრაგმატული პოლიტიკის ნაწილი, ხშირად კონფრონტაციული და კონკურენტუნარიანი. ბუნებრივია, რომ თურქეთი საქართველოსთვის არის რთული პარტნიორი. მისი მრავალვექტორული მიდგომა და დაბალანსებული მოქმედება შესაძლოა აღქმული იყოს როგორც რისკი პარტნიორებისთვის. თუმცა, თურქეთის უცვლელი აღქმა რუსეთისადმი იმედის მომცემად შესაძლოა განვიხილოთ, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი რეგიონისთვის.

მრავალვექტორული პოლიტიკა ცხადყოფს, რომ თურქეთი პრაგმატულად მოაზროვნე სახელმწიფოა, რომლის მამოძრავებელი ძალაც სარგებლის ეფექტიანობაა. მრავალვექტორულ პოლიტიკასთან დაკავშირებული შესაძლებლობა საქართველოსთან მიმართებით ორ სექტორს მოიცავს: ეკონომიკასა და უსაფრთხოებას. ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს აქვს შესაძლებლობა განავითაროს სატრანსპორტო ენერგეტიკული მნიშვნელობა, მოიზიდოს ინვესტიციები და დამყაროს მჭიდრო ეკონომიკური კავშირები, რაც მაღალ ბენეფიტებთან არის დაკავშირებული. თურქეთის, როგორც ნატოს მეორე ყველაზე დიდი ქმედითუნარიანი წევრის დახმარებით საქართველოს აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს ნატოს სტანდარტებთან თავსებადობა. საფრთხის მიუხედავად, თურქეთის ნეიტრალური შუამავლის როლი, თბილისს დაეხმარება აფხაზეთთან ურთიერთობის პროცესში (Cecire, 2013). შესაძლებელია

ურთიერთობების დიპლომატიურმა განვითარებამ საქართველოს მოუტანოს გარკვეული წარმატება. ამასთანვე, არსებობს შესაძლებლობა, რომ თურქეთმა მრავალვექტორული პოლიტიკის გამოყენებით, ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზებაში (Cecire, 2013). თუმცა, აღნიშნული შესაძლებლობა ნაკლებად განხორციელებადია, ოკუპირებული ტერიტორიების მოცემულობაში (Nodia, 2013). თურქეთთან მზარდი პარტნიორობა საქართველოს აძლევს შესაძლებლობას გაზარდოს სტრატეგიული ღირებულება ყველა სხვა დანარჩენი პარტნიორისთვის, წარმოაჩინოს საკუთარი თავი სასარგებლოდ და ეფექტიანად ნებისმიერი თანამშრომლობისათვის.

ექსპერტების შეფასებით, მრავალვექტორული პოლიტიკა, როგორც სხვა ნებისმიერი პოლიტიკა, ყოველთვის არ მოიცავს შესაძლებლობებს, ხშირად დაკავშირებულია გარკვეულ კრიზისებთან და რისკებთან, რომელთა გადალახვა და გათვალისწინებაც სახელმწიფოს სჭირდება.

3.2 საქართველოს საგარეო პოლიტიკის დილემა

ისტორიულად საქართველოს საგარეო პოლიტიკა მუდმივად ორიენტირებული იყო გადარჩენაზე, დიდი აქტორების ინტერესების დაბალანსებაზე. საგარეო პოლიტიკაში დომინირებს უსაფრთხოების საკითხი, ვინაიდან, საქართველოს რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში უწევს არსებობა. სახელმწიფოებრიობის დაუცველობა, არასაიმედო სამეზობლო, ეთნიკური კონფლიქტები საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის რთული აღმოჩნდა (ჯერმანი & კაკაჩია, 2023). დამოუკიდებლობის დღიდან საგარეო პოლიტიკური სტრატეგია მიმართული იყო ევროპისაკენ, რაც გადარჩენისათვის მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენდა. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი რუსული გავლენის დაბალანსება იყო. ევროპა განიხილებოდა ერთადერთ ალტერნატივად, სადაც უსაფრთხოების გარანტიების მიღება შეიძლებოდა. ამ პერიოდში, საქართველო ავითარებს ნარატივს, რომლის თანახმადაც სახელმწიფო დაამყარებს პარტნიორობას დასავლეთის ქვეყნებთან და არა პერიფერიულ, ავტორიტარულ ქვეყნებთან. ამ ტიპის სახელმწიფოებად მოიაზრებოდა

დსთ-ს და პოსტსაბჭოთა ქვეყნები, ვინაიდან, ისინი ვერ უზრუნველყოფდნენ საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და იდეოლოგიურ საჭიროებებს.

განსხვავებით დსთ-ს და პოსტსაბჭოთა სივრცისაგან საქართველომ მჭიდრო სტრატეგიული პარტნიორობა დაამყარა თურქეთთან, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი წარმოადგენს ნაწილობრივ ავტორიტარულ, იდეოლოგიურად განსხვავებულ სახელმწიფოს. სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება ეფუძნება თურქეთის შესაძლებლობებს უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება. თბილისმა თურქეთი აღიქვა, როგორც „ევროპის ფანჯარა“, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს დაახლოება ევროპასთან (Cecire, 2013). პარტნიორ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაღრმავება საქართველოსთვის განვითარების რთულ გზაზე აღმოჩნდა სტიმულის შემცველი. ენერგო დერეფნების შექმნამ, ეკონომიკური კავშირების გაღრმავებამ საქართველო ევროპისა და აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორად აქცია. აღნიშნული, უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზაზე დიდ წარმატებას წარმოადგენდა. ეკონომიკური პარტნიორობის მიღმა იდეოლოგიური განსხვავება საგარეო პოლიტიკურ მიდგომებში იყო მიზეზი დაბნეულობის (Aydın, 2024). თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა ხშირად წარმოადგენდა საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის დილემების ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორს. უსაფრთხოების გარანტიების არ არსებობა მუდმივად მსჯელობის საგნად აქცევდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ მიდგომებს. თუმცა, რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში საქართველოს ყოველთვის ჰქონდა შანსი პროცესის დაბალანსების.

საქართველო როგორც პატარა, დაუცველი სახელმწიფო მუდმივად დამოკიდებული იყო დიპლომატიის ხელოვნებაზე. მიუხედავად რთული გეოპოლიტიკური სივრცისა, საქართველოს გარკვეული გეოპოლიტიკური უპირატესობა გააჩნია, რაც აძლევს შესაძლებლობას თავი დააღწიოს რეგიონს და გაზარდოს საკუთარი სტრატეგიული მნიშვნელობა. ჯერმანი და კაკაჩია პატარა სახელმწიფოს არ მიიჩნევენ აგრესიული მეზობლების მსხვერპლად, ვინაიდან სუსტ სახელმწიფოებსაც აქვთ ისეთი შესაძლებლობები, რაც მათ პოზიციონირებაში ეხმარება (ჯერმანი & კაკაჩია, 2023). პატარა სახელმწიფოებს შეუძლიათ საერთაშორისო სისტემაში თავი წარმოაჩინონ როგორც სასარგებლო პარტნიორი. საქართველოს როგორც სუსტ სახელმწიფოს აქვს

გარკვეული ავტონომია, დაიმკვიდროს თავი რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში. შესაძლებელია გამოვეყნოთ სამი ძირითადი სფერო, სადაც საქართველოს ძლიერი სახელმწიფოებისთვის სასარგებლო პარტნიორობის შეთავაზება შეუძლია. პირველ, ფაქტორს წარმოადგენს სამხედრო პარტნიორობა, რაც კარგად გამოჩნდა საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა პროცესში. თურქეთ-საქართველოს გაერთიანებული სამხედრო წვრთნები, ნატოს სამხედრო მისიებში მონაწილეობა და.ა.შ ცხადყოფს საქართველოს მზაობასა და გამოცდილებას სამხედრო პარტნიორობის სფეროში. მეორე ფაქტორს წარმოადგენს სატრანზიტო შესაძლებლობები. საქართველო აღიარებულია როგორც შუა დერეფანი, რომელიც აკავშირებს ორ ცივილიზაციას დასავლეთსა და აზიას ერთმანეთთან. შავ და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული სახელმწიფო ასრულებს სატრანსპორტო ხიდის ფუნქციას ეკონომიკურ სივრცეში. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ზრდის საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას იმ აქტორთა თვალში, რომელნიც დაინტერესებულნი არიან სატრანსპორტო შესაძლებლობებით. საქართველო თურქეთს შორის განვითარებული ენერგო დერეფნები, ცხადყოფს, რომ ქვეყანა წარმოადგენს სასარგებლო სატრანსპორტო პარტნიორს. საქართველოს გავლით ენერგო რესურსების ტრანსპორტირებამ, სახელმწიფოს სტრატეგიული როლი ევროპის თვალში მნიშვნელოვნად გაზარდა. მესამე და მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ევროპასთან აფილირებული პოზიციონირება (ჯერმანი & კაკაჩია, 2023). საქართველო მიისწრაფვის გახდეს ევროპის ნაწილი, მოახდინოს ინტეგრაცია ევროპულ ალიანსებში, თავი დაიმკვიდროს რეგიონში, როგორც ევროპული სახელმწიფო, რაც ზრდის სარგებლიანობას დიდ აქტორთა თვალში. თურქეთმა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ენერგო დერეფნების მშენებლობა განახორციელა საქართველოს გავლით, ვინაიდან, რეგიონში სახელმწიფო წარმოადგენს მნიშვნელოვან, უსაფრთხო დასაყრდენს. თითოეული ფაქტორი ცხადყოფს, რომ ისეთი სახელმწიფოც როგორიც საქართველოა, რომელიც რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მდებარეობს აქვს გარკვეული შესაძლებლობები, რომელთა დახმარებითაც შეუძლია დილემების დაძლევა.

საქართველო, იძულებულია შეინარჩუნოს ბალანსი, რადგან ქვეყანას არ გააჩნია არანაირი უსაფრთხოების გარანტიები. მანევრირების მცირე შესაძლებლობა, რესურსების სიმცირე არ აძლევს სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების საშუალებას.

ამ ტიპის სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ ჰეჯირების მიდგომას. საგარეო პოლიტიკის ამ მიდგომით „პატარა სახელმწიფოები არც აბალანსებენ და არც აჰყვებიან მატარებელს. ცდილობენ იმოქმედონ სტრატეგიულად, როდესაც დიდ აქტორებს შორის არიან, ცდილობენ რისკების კომპენსირებას“ (Kakachia & Lebanidze, 2024). ჰეჯირების პოლიტიკით სახელმწიფოები მიისწრაფვიან მომავალში არსებული რისკების შემცირებისაკენ. ახორციელებენ სტრატეგიული ბუნდოვანების პოლიტიკას ძლიერ აქტორებს შორის. ჰეჯირება ორი საგარეო მიდგომით ხასიათდება. ერთის მხრივ, მოიცავს ღირებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას. სახელმწიფო წარმოადგენს ნორმატიულ მოდელს, რომელიც მიისწრაფვის ეკონომიკური რისკებისა და კონკურენტი სახელმწიფოების შემცირებისაკენ. მეორე მხრივ, ტრანზაქციული საგარეო პოლიტიკა, არ ავლენს ნორმატიულ მიდგომას კონკურენტი აქტორის მიმართ. მიისწრაფვის ყველა სფეროს დაბალანსებაზე, ორიენტირებულია მრავალმხრივ ურთიერთობებზე. ფოკუსირებულია მოკლევადიან შედეგებზე და არა გრძელვადიან სტრატეგიებზე. ამ მიდგომის მქონე სახელმწიფოები ღირებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკას მიიჩნევენ ეროვნული ინტერესების საზიანოდ.

საქართველო როგორც პატარა სახელმწიფო იძულებულია მიმართოს ჰეჯირების პოლიტიკას, რათა დააბალანსოს გეოპოლიტიკური დილემები. ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გამოყენება საქართველოსთვის აღმოჩნდა შეზღუდული და რთულად განსახორციელებელი, ვინაიდან სახელმწიფოს აქვს სუსტი შესაძლებლობები და მანევრირების შეზღუდული მოქმედება რეგიონში (Kakachia & Lebanidze, 2024). ქვეყანა იძულებულია გამოიყენოს ტრანზაქციული საგარეო პოლიტიკა, რათა დააბალანსოს კონკურენტი, აგრესიული ძალები. ამ მიდგომის ფარგლებში თბილისმა თანამშრომლობა გააღრმავა თურქეთთან, შეამცირა ურთიერთობები რუსეთთან. ჰეჯირების მიდგომა საქართველოს მაგალითზე ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. ტესმანი და ვულფი გამოყოფენ სამ ფაქტორს, რაც წარმატებული ჰეჯირების პოლიტიკისათვის აუცილებელია. კერძოდ, ეკონომიკური შესაძლებლობები, სამხედრო პოტენციალი და გადაწყვეტილების მიღების უნარი (Geeraerts & Salman, 2016). თითოეული ფაქტორის ნაკლებობამ შესაძლოა ჰეჯირების წარმატებულობა შეამციროს.

ექსპერტთა შეფასებით, სასურველია ჰეჯირებისგან განსხვავებით „საქართველოს ჰქონდეს ხანგრძლივ ვადიანი საგარეო სტრატეგია“¹². რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობა, საქართველოს არ აძლევს შესაძლებლობას იმოქმედოს ცალსახად ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკით. ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარება ისეთი პატარა სახელმწიფოებისთვის, როგორიც საქართველოა სრულიად შეუძლებელია. ტრანზაქციული საგარეო პოლიტიკა კი პატარა სახელმწიფოებისგან მეტ სიფრთხილეს და დიპლომატიურ ძალისხმევას მოითხოვს.

რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პარტნიორებთან თანამშრომლობის შენარჩუნება და განვითარება. მიზანშეწონილია, საქართველომ გამოიყენოს ტრანზაქციული საგარეო პოლიტიკა, რომელიც დაბალანსებული იქნება ეროვნულ ინტერესებზე დაყრდნობით. ექსპერტების მოსაზრებით, საქართველოს საგარეო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ორი ძირითადი ფაქტორისაკენ. ერთი მხრივ, თბილისმა მჭიდრო ურთიერთობა უნდა შეინარჩუნოს დასავლეთთან, ვინაიდან, ყველა სხვა მოდელი მიმართული იქნება საქართველოს დესუვერენიზაციისაკენ. მეორე მხრივ, საქართველომ უნდა ეცადოს პარტნიორების გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებთან თანხვედრა. შეიძლება მოკავშირეები სახელმწიფოსგან განსხვავდებოდნენ იდეოლოგიით, თუმცა ეს არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას თანამშრომლობის გზაზე. შესაბამისად, თურქეთის მრავალვექტორული დამოკიდებულება საქართველომ არ უნდა აღიქვას დაბრკოლებად, აღქმული უნდა იყოს მოცემულობად. ამ პოლიტიკის კონტექსტშიც კი საქართველომ უნდა ეცადოს არ დაკარგოს გეოპოლიტიკური ფუნქცია, თურქეთთან, თუ სხვა ნებისმიერ დასავლურ ქვეყანასთან.

ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა ორი მთავარი რეკომენდაცია საქართველოსთვის, რომელიც დაეხმარება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გამოწვევების დაძლევაში. პირველ ფაქტორს წარმოადგენს მუდმივი დაკვირვება და ანალიზი თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის გარშემო. საქართველომ მუდმივად უნდა ეცადოს გაზარდოს სარგებლიანობა თავისი შესაძლებლობების თურქეთისთვის. მეორე მხრივ, მრავალვექტორული მიდგომა თბილისმა უნდა გამოიყენოს საკუთარი პოზიციების

¹² გამოკითხული რესპონდენტის ციტირება

სასარგებლოდ. თურქეთის დახმარებით გაძლიეროს ურთიერთობა ნატოსთან, დასავლურ პარტნიორებთან, გაიმყაროს პოზიციები და გეოპოლიტიკური როლი რეგიონში. მხოლოდ გრძელვადიან საგარეო სტრატეგიას შეუძლია დილემების დაძლევა რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში.

დასკვნა

საბაკალავრო ნაშრომში თვისებრივი კვლევის მეთოდების, თავდაცვითი ნეორეალიზმისა და სტრატეგიული სიღრმის თეორიის გამოყენებით, შესწავლილ იქნა თურქეთის მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის ასპექტები შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების სფეროში. ამასთანავე, შეფასდა თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის გავლენა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე. დოკუმენტების, სამშვიდობო პროგრამების, სახელმწიფო შეთანხმებების შესწავლითა და დარგის ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუს შედეგების ანალიზით დადასტურდა კვლევის დაშვება. თურქეთის მიერ მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის გამოყენება უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკურ სტაბილურობას, სტრატეგიული მნიშვნელობისა და გავლენის ზრდას შავი ზღვის რეგიონში. თუმცა, მრავალვექტორული პოლიტიკის გამოყენება ართულებს ურთიერთობებს, ნდობასა და გეოპოლიტიკურ წონას სტრატეგიულ პარტნიორებს შორის.

თავდაცვითი ნეორეალიზმისა და “სტრატეგიული სიღრმის” თეორიის ჩარჩოში, თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის შეფასებამ ცხადყო, რომ მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა ფორმირდა, როგორც სახელმწიფო სტრატეგია. ამასთანავე, ნეოსმანიზმის იდეოლოგიის დამკვიდრებამ, ისტორიული

მემკვიდრეობისა და პოლიტიკური მნიშვნელობის გააზრებამ საფუძველი ჩაუყარა მრავალვექტორული პოლიტიკის ფორმირებას. საგარეო პოლიტიკური ჩარჩოს ცვლილებამ თურქეთს მისცა შესაძლებლობა რისკების დროული შეფასების, ცვლილებების სწრაფი აღქმის. თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში გამოიკვეთა დიდ აქტორებთან (ნატო, აშშ, რუსეთი) პრაგმატული ურთიერთობების განვითარების კუთხით. ამის ფონზე, ანკარა შავი ზღვის რეგიონში ჩამოყალიბდა როგორც “ვაჭარი ჰეგემონი”(მანჩხაშვილი, 2013), რომელსაც შეუძლია მართოს მრავალ მიმართულებიანი პოლიტიკა საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

კვლევის დაშვების ანალიზის ფონზე შესაძლოა გამოვყოთ თურქეთის მრავალვექტორულ პოლიტიკასთან დაკავშირებული შესაძლებლობები და რისკები. შესაძლებლობათა კუთხით, თურქეთი შავი ზღვის რეგიონში ფორმირდა, როგორც ლიდერი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს რეგიონული უსაფრთხოების ფორმირებაში და გავლენა მოახდინოს ძალათა ბალანსზე. თუმცა, თურქეთის, როგორც ნატოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი აქტორის მრავალვექტორული პოზიციონირება ამცირებს ნდობასა და გეოპოლიტიკურ წონას პარტნიორთა შორის. შავი ზღვის გეოპოლიტიკურ სივრცეში თურქეთი „ვაჭრობს“ დიდ აქტორებს შორის ყველა შესაძლებლობის გამოყენებით.

თურქეთის პრაგმატული პოზიციონირება დამაბნეველია ისეთი, პატარა სახელმწიფოებისთვის როგორც საქართველო, რომელსაც არ აქვს არანაირი უსაფრთხოების გარანტიები. კვლევამ შეაფასა გავლენა, თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკის საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით. ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა რისკები და შესაძლებლობები სახელმწიფოსთვის. ანკარა მნიშვნელოვანი პარტნიორია თბილისის, რომლის დახმარებითაც ქვეყანამ გაზარდა უსაფრთხოების შესაძლებლობები, სატრანსპორტო მნიშვნელობა და გეოპოლიტიკური წონა რეგიონში. რისკ ფაქტორებს შორის გამოიკვეთა თურქეთის მრავალვექტორული პოლიტიკა რეგიონში, რომელიც ვერ ახდენს რუსეთისგან მომავალი რისკების კომპენსირებას. კვლევის პროცესში რისკ ფაქტორები, ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც შესაძლებლობები საქართველოსთვის. სახელმწიფომ საჭიროა მტკიცედ შეინარჩუნოს თურქეთთან

თანამშრომლობითი ურთიერთობები და მისი დახმარებით არ დაკარგოს გეოპოლიტიკური სატრანსპორტო წონა დასავლელ პარტნიორებს შორის.

ამრიგად, ანკარა პრაგმატული, პროგნოზირებადი ურთიერთობების განვითარების დახმარებით აყალიბებს ფართო სივრცეს ლავირებისათვის. მოქმედების თავისუფალი მდგომარეობა თურქეთს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს ინტერესების რეალიზება შავი ზღვის გეოპოლიტიკურ სივრცეში. ამ მოცემულობაში კი საქართველო ეროვნულ ინტერესებზე დაყრდნობით უნდა აყვეს იმ რისკებსა და შესაძლებლობებს, რომელიც მრავალვექტორული პოლიტიკის მოქმედების დროს წარმოიქმნება.

დასკვნის სახით, შესაძლოა აღინიშნოს, რომ მრავალვექტორული პოლიტიკა წარმოადგენს ახალ საგარეო პოლიტიკურ მიდგომას, რომელიც ესწრაფვის ანარქიულ გარემოში, ფრთხილი დიპლომატიური ნაბიჯებით განვითარებისაკენ. მრავალვექტორული პოლიტიკის ფარგლებში თურქეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა საკუთარი უპირატესობა შავი ზღვის უსაფრთხოების სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Aleksanyan, L. (2017). The evolution of Turkish-Georgian relations: new trends (economic and military-political aspects). Post-Soviet Issues. <https://doi.org/10.24975/2313-8920-2017-4-2-148-158>
- Avdaliani, E. (2021). Turkey's Foreign Policy Balancing Act. The Begin-Sadat Center for Strategic Studies.
- Aksoy, M., Limon, O., & Limon, E. G. (2024). Strategic Flashpoints: NATO's Containment of Russia in the Black Sea and Arctic Regions. Codrul Cosminului.
- Alessandri, E. (2011). Turkey and the United States . In N. Kitchen, TURKEY'S GLOBAL STRATEGY (pp. 45-52). LSE IDEAS.
- Aras, B. (2009). Davutoğlu Era in Turkish Foreign Policy . Foundation for Political, Economic and Social Research.
- Ataman, M. (2023). The Century of Türkiye: A New Foreign Policy Vision for Building the Türkiye Axis. Insight Turkey, 73-96. <https://doi.org/10.25253/99.2023253.6>

Aydın, M. (2024). Turkey's Black Sea Policies (1991–2023) and Changing Regional Security Since the Russian Invasion of Ukraine. In K. Kakachia, S. Malerius, & S. Meister, *Security Dynamics in the Black Sea Region* (pp. 97-111). Springer.

Baba, G. (2024). Türkiye's “-lateralisms” in Asia: A Multi-Vectorial Analysis. *Insight Turkey*. <https://doi.org/10.25253/99.2024261.6>

Cecire, M. H. (2013). The Merchant Hegemon: Georgia's Role in Turkey's Caucasus System. In M. Cecire, & K. Kakachia, *Georgian Foreign Policy The Quest for Sustainable Security* (pp. 111-125). Tbilisi: Konrad-Adenauer-Stiftung (KAS).

Çolak, Z. (2024). Pathways to Modernity: Ottoman Reforms Before and During the Tanzimat. *Journal of Turkish World Studies*, 418-436.

Cook, S. A. (2018). Neither Friend nor Foe The Future of U.S.-Turkey Relations. Council on Foreign Relations.

Dalay, G. (2022). Deciphering Turkey's Geopolitical Balancing and Anti-Westernism in Its Relations with Russia. *Stiftung Wissenschaft und Politik*. <https://doi.org/10.18449/2022C35>

Efremova, K. (2019). Small States in Great Power Politics. . *Central European Journal of International and Security Studies* , 100–121.

Ergun, A. (2023). Turkish positions in the changing geopolitics of the South Caucasus. In S. Neset, M. Aydın, A. Ergun, R. Giragosian, K. Kakachia, & A. Strand, *Changing Geopolitics of the South Caucasus after the Second Karabakh War Prospect for Regional Cooperation and/or Rivalry* (pp. 45-56). Chr. Michelsen Institute.

Geeraerts, G., & Salman, M. (2016). Measuring Strategic Hedging Capability of Second-Tier States Under Unipolarity. Springer. <https://doi.org/10.1007/s41111-016-0010-6>

Hamilton, R., & Mikulska, A. (2021). RUSSIAN-TURKISH RELATIONS AND THEIR IMPLICATIONS FOR THE WEST. Foreign Policy Research Institute.

Kakachia, K., & Lebanidze, B. (2023). Tbilisi's Transactional Foreign Policy Leads Georgians Astray (PONARS Eurasia Policy Memo No. 844). PONARS Eurasia.

Kakachia, K., & Lebanidze, B. (2024). Can Small States Reshape Their Regional Identities? Examining Georgia's Cognitive Dissonance between South Caucasus and Eastern Europe. Cambridge University Press. <https://doi.org/10.1017/nps.2024.36>

Kakachia, K., & Minesashvili, S. (2024). Russia's Intended Naval Base in Ochamchire: Implications for Georgian and Black Sea Security. Tbilisi: PONARS Eurasia.

Kakachia, K., Lebanidze, B., & Kakabadze, S. (2024). Transactional hedging versus value-based hedging: how small frontline states balance between European integration and Russian influence. *European Security*, 594-614.

Kakachia, K., Malerius, S., & Meister, S. (2024). Navigating Uncertainty: Georgia's Black Sea Strategy in a New Environment. Springer Cham. <https://doi.org/10.1007/978-3-031-62957-0>

Kakachia, K., Meister, S., & Fricke, B. (2018). Geopolitics and Security: A New Strategy for the South Caucasus. Tbilisi: Konrad-Adenauer-Stiftung (KAS).

Kakachia, K. (2022). Georgian Foreign Policy Strategy in Uncertain Times.

Kınacıoğlu, M., & Arkan, Z. (2016). Enabling 'ambitious activism': Davutoğlu's vision of a new foreign policy identity for Turkey. *Turkish Studies*, 381-405. <https://doi.org/10.1080/14683849.2016.1185943>

Kardaş, Ş. (2022). The War in Ukraine and Turkey's Cautious Counter-Balancing Against Russia. The German Marshall Fund of the United States (GMF).

KİRİŞÇİ, K. (2016). The End of the Cold War and Changes in Turkish Foreign Policy Behaviour. Foreign Policy Institute (FPI).

Malerius, S., Meister, S., & Kakachia, K. (2024). Analytical Overview: A Comprehensive Approach to Black Sea Security. In K. Kakachia, S. Malerius, & S. Meister, *Security Dynamics in the Black Sea Region* (pp. 5-13). s Springer.

Mohammed, S., & Romano, D. (2023). The Kurdish Conflict in Turkey: The Central Role of Identity Recognition (or Lack Thereof) (Volume 24, Issue 2). Routledge. <https://doi.org/10.1080/17449057.2023.2275229>

MacFarlane, S. N., & Jones, S. (2023). Georgia's Foreign Policy Dilemma: How to Find a Balance Between Transactional and Values-Based Approaches. Georgian Policy Institute. Tbilisi: Georgian Institute Of Politics.

Neil MacFarlane, S., & Jones, S. (2023). Georgia's Foreign Policy Dilemma: Can There be a Balance Between Transactional and Value-based Foreign Policy? Tbilisi: GIP.

Nicolescu, A. (2012). Competing Variables in Turkey's Multi-Vector Foreign Policy. Romanian Journal Of Foreign Policy , 51-62.

Neset, S., Aydin, M., Ergun, A., Giragosian, R., Kakachia, K., & Strand, A. (2023). Changing Geopolitics of the South Caucasus after the Second Karabakh War. Prospect for Regional Cooperation and/or Rivalry. Chr. Michelsens Institutt.

Nodia, G. (2013). Divergent Interests: What Can and Cannot be Achieved in Georgia-Russian Relations. In k. Kakachia, & M. Cecire, Georgian Foreign Policy The Quest for Sustainable Security (pp. 97-111). Tbilisi: Konrad-Adenauer-Stiftung (KAS).

Outzen, R. (2024). Defense cooperation: Turkey's triangular balancing in the Black Sea region. Atlantic Council.

Robinson, K. (2023). Turkey's Growing Foreign Policy Ambitions. Council on Foreign Relations.

Rukhadze, V. (2015). Defying Georgia, Turkey Gradually Cultivates its Influence in Separatist Abkhazia.

Suyundikov, S., & Gökbek, A. (2023). The Role of Energy in Türkiye-Russia Relations: A View from the Perspective of Mutual Dependence. Insight Turkey. <https://doi.org/10.25253/99.2023254.12>

Samkharadze, N. (2021). Georgia's 3+3 Dilemma: Regional Leadership or Falling into the Aggressor Neighbor's Trap? Tbilisi: GIP.

Tikuisis, p., & Carment, D. (2017). Categorization of States Beyond Strong and Weak. Stability, (6)1, 1-23. <https://doi.org/10.5334/sta.483>

Tokdoğan, N. (2018). Neo-Ottomanism and the Politics of Emotions in Turkey. NarcissismPALGRAVE STUDIES IN POLITICAL PSYCHOLOGY.<https://doi.org/10.1007/978-3-031-48723-1>

Vanderhill , R., Tulepbayeva , R., & Joireman , S. (2020). Between the bear and the dragon: multivectorism in Kazakhstan as a model strategy for secondary powers. Oxford Academic.
<https://doi.org/10.1093/ia/iiaa061>

Walker, J. W. (2011). Introduction: The Sources of Turkish Grand Strategy - 'Strategic Depth' and 'Zero-Problems' In Context . In N. Kitchen, TURKEY'S GLOBAL STRATEGY (pp. 6-13). LSE IDEAS.

ბატიაშვილი, ზ. (2017). თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში.

ბატიაშვილი, ზ. (2022). როგორია თურქეთის პოზიციები და ქმედებები რუსეთ-უკრაინის ომში. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

ბატიაშვილი, დ. (2022). გეოპოლიტიკა თურქულად და როგორია მასზე სწორი რეაქცია. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

ბატიაშვილი, ზ. (2022). თურქეთის ადგილი და როლი რუსეთ-უკრაინის ომში. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

ბატიაშვილი, დ. (2022). გეოპოლიტიკა თურქულად და როგორია მასზე სწორი რეაქცია. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

გეგეშიძე, ა. (1999). გეოპოლიტიკა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

კაციტაძე, კ. (2001). გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

მაჩიტაძე, ი. (2020). რუსეთ-თურქეთის ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავისებურებები სამხრეთ კავკასიაში: რისკები და შესაძლებლობები საქართველოსთვის პოლიტიკის დოკუმენტი #13. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

მაჩიტაძე, ე. (2024). თურქეთის საგარეო პოლიტიკა თურგუთ ოზალის მმართველობის პერიოდში. აღმოსავლური კვლევების მაცნე 7. <https://doi.org/10.61671/hos.7.2024.8277>

მანჩხაშვილი, მ. (2013). თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 წლები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მანჩხაშვილი, მ. (2014). თურქეთი XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დამდეგს. თბილისი: გამომცემლობა "უნივერსალი".

მანჩხაშვილი, მ. (2021). სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ორი თურქული მოდელი. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მანჩხაშვილი, მ., & მაკარაძე, ე. (2014). ქემალიზმი და დემოკრატიზაცია თურქეთში. თბილისი: შპს. "საგამომცემლო სახლი ქართული ელიტა".

მჭედლიშვილი, ზ. (2021). თურქეთის საგარეო პოლიტიკა, ლექციების კურსი, ნაწილი II (XXI საუკუნე). თბილისი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

მჭედლიშვილის, ზ. (2021). თურქეთის საგარეო პოლიტიკა (ლექციების კურსი). თბილისი: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

სანიკიძე, გ. (2023). საქართველოს ურთიერთობები თურქეთსა და ირანთან. In ტ. ჯერმანი, კ. კაკაჩია, & ს. ჯონსი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა 21-ე საუკუნეში (pp. 189-242). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჯერმანი, ტ., & კაკაჩია, კ. (2023). უსაფრთხოების უზრუნველყოფა პატარა სახელმწიფოს სტატუსის პირობებში. In ტ. ჯერმანი, ს. ჯონსი, & კ. კაკაჩია, საქართველოს საგარეო

პოლიტიკა 21-ე საუკუნეში (pp. 49-80). თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დანართი N1

გამოკითხული რესპონდენტები:

- ზურაბ ბატიაშვილი - ყოფილი მრჩეველი საქართველოს საელჩოსი თურქეთის რესპუბლიკაში.
- სანდრო ბაკურაძე - თურქეთმცოდნე.
- მათა მანჩხაშვილი - პოლიტოლოგი, თურქეთმცოდნე.
- გიორგი ბადრიძე - რონდელის ფონდის უფროსი მკვლევარი.

